F-567

# საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოამბე

(ინფორმაციული მასალები)

# 2

19 თბილისი 57
აპრილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინასარგებლობისათვის

ს. თ. ს.

# საქართველოს თეატრალური საზოგადოების

# მ ო ა მ ბ ე

19 თბილისი 57

აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლადო მესხიშვილი

აი სილამაზე მოუწყინარი, აი სიმშვენიერე ფერნაუშლელი.

ეს თანამედროვეთათვის.

შთამომავლობისათვის კი რა რჩება?

— მხოლოდ ორიოდე ფერმკრთალი მოგონება და... კიდევ ერთი ბედნიერება: კინემატოგრაფიული სურათში, სადაც ლადოს მშვენიერი, ჯადოსნური თვალები კვლავ სიცოცხლით გაიელვარებენ, მისი საუცხოო, კლასიკური თავის მოყვანილობა, ხელახლა ჩვენ თვალწინ მარმარილოს ქანდაკად ჩამოიძერწება. მხოლოდ...

ვაი რომ, ამ სურათებით არ დახასიათდება ლადოს დიდი, მსახიობური ტემპერამენტი, ლადოს საყვითრელი, მაღალი ნიჭი არტისტობისა.

ის, რაც ჩვენ გვიყვარდა ლადოსი, რა ტიპებსაც მან შეგვაჩვია თავისი ნიჭიერი სახის ამეტყველებით მის სიცოცხლეში, სამუდამოდ მიეფარა თვალს, საუკუნოდ დაილუპა შთამომავლობისათვის, და ეს სურათებიც... კინემატოგრაფიული არა საუკუნო.

სოლომონის არ იყოს: " ესა ყოფილა კაცის დიდება!"

განსაკუთრებით მსახიობისათვის.

ეს ჭეშმარიტება ბავშვებმაც კი იციან ახლა.

მხოლოდ ლადო ჩვენთვის უკვდავია, როგორც აღინიშნა კიდეც, მიტომ რომ — მისი სული არ მოკვდება ქართულ თეატრში ე.ი. მისი ტრადიცია სადრამო ხელოვნებისა, მისი დიადი მანერა მსახიობობისა, მისი ფრაზები, მისი ღონისძიებანი ტიპთა განსახიერებისა.

მართალია აქტიორობას არა აქვს თავისი " მათემატიკური" კანონები, თითქო თვალში მოსავარდნი, მაგრამ ის, რაც გაუკვდევიათ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულ მსახიობთ ადამიანის რთულ ფსიქიურ ლაბირინთის გამოსახვაში, ისიც ერთგვარი კანონმდებლობაა და ლადო ხომ უსათუოდ ჩვეული იყო, უსათუოდ კანონმდებელი, უსათუოდ მამამთავარი სადრამო ხელოვნების ხორცასხმულობისა ჩვენს თეატრში.

თუ ჩვენ ამიერიდან კომიკური გზებთ ჩვენის თეატრისა, ვასო აბაშიძისაგან უნდა დავიწყოთ, სადრამო მსვლელობაშიაც ლადოს ხელოვნე-ბის ფართო ეზოდან უნდა გამოვიდეთ.

დავიწყოთ უფრო დავიწყებული სახეებიდან:

უმნიშვნელო პიესა, ნაძალადევი მელოდრამა რუსი ავტორის, რაკ-შანინისა – " გულისთქმა".

ლადო – ცამილინი. ეს რუსის " მოდღევებული" ინტელიგენტი, შესა-ხედაობა მწყაზარი, ნაბლისფერი კოხტა წვერები, ლამაზი, კოკობა ულვა-შები. თვალებში მელანქოლია, სახე ფერმიხდილი, მოქანცული, მოლილი სახე და ხ ხეული. მოწყენილობა სახლში. გულგრილობა ცოლთან. სქესობრი-ვი აღტკინება მეზობელ ქალისადმი პათოლოგიური სიყვარული.

და აი, მესამე მოქმედება.

ლადო- ცამილინი მიდის მეზობელ ქალთან რანდევუზე, სრული სიმ-შვიდე სხეულში, სახეზე. შედის ქალის საწოლ ოთახში და ახრჩობს მას /კულისებში/.

მაგრამ საქმე მისი გამოსვლაა. ეს მწყაზარი კაცი, ეს ხელთათმა-ნებიანი და ცილინდრიანი ადამიანი თმააბურძგნილი, "გალსტუკ"მორღვეუ-ლი, სახელოებგადაკაპიწებული გიჟივით გამორბის იმ ოთახიდან, სადაც ესეთი საშინელი დანაშაული ჩაიდინა და რა არ წერია მის თვალებში, ო, ეს თვალები, ლადოს საარაკო თვალები!.. სიხარული, რომ ჟინი აი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სრულა, მოჰკლა ის ადამიანი, რომელიც ჰგონია, რომ უნდა მოეკლა, შიში, რომ შეიძლება ვინმემ შემოუსწროს და გამომჟღავნდეს მისი დანაშაული, ერთგვარი გამოუთქმელი გრძნობა ზიზღისა, რომ მან ყოვე- ლად "წესიერმა" და ზრდილმა კაცმა ესეთი "უშვერი" საქმე ჩაიდინა. ყოველივე ეს ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე სიძლიერით გა- მოთქმული, მაგრამ აი, ბოლოს და ბოლოს ყოველივეს ჩრდილავს აღელვება ფიზიკური, შიში ინსტინქტური, მხოლოდ თქვენ ატყობთ, რომ ცივი გონება სასტიკად ებრძვის "მოჯრილ" გრძნობებს და თანდათან ამშვიდებს სხეუ- ლის თრთოლვას. აი ლამაზმა კაცმა, უწინარეს ყოვლისა, გაისწორა სა- ხელოები, "გალსტუკი", სერთუკი, თმები, მივიდა მაგიდასთან, ჩამოას- ხა ჭიქაში სურიდან წყალი. და აქ მოგესმით როგორ ჩაკუნებს ლადო- ცა- მილინის ხელში ჭიქა ლამბაქზე. ეს ისე ბუნებრივია, ისეთი დიდი, ხე- ლოვნური სიმართლით გადმონაცემი, რომ თქვენ გჯერათ ყოველივე ეს. თქვენ ამჟამად თითქო თანაზიარი გახდით დიდი დამნაშავის სულიერი გან- ცდისა და აი, თქვენც თითქო ლადოსთან ერთად თანდათან ჰპოებთ სულიერ სიმშვიდეს, იცვამთ ხელთათმანებს, იხურავთ ცილინდრს, პანია წკეპლაც, სადღაც სკამზე მიგდებული, ისიც კი არ დაგვიწყებიათ და სრულიად გონსმოგებული, დამშვიდებული გადიხართ ამ ჯოჯოხეთურ სახლიდან, საცა ესეთი მოუშორებელი ლაქა მოვეცხოთ თქვენი სინიდისის წინაშე მაინც. გადიხართ ჰაერზე, ბაღში, რომელიც სრულიად დაგამშვიდებთ და გამოგა- ფხიზლებთ.

დიახ, გახვედით ამ სახლიდან ე.ი. ჯადოქარი ლადო გავიდა და ეს მხოლოდ მაშინ იგრძენით, როდესაც მისი საყვარელი ნაკვთი მიგეფა- რათ თვალთაგან. მაშინ მიხვდით, რომ თეატრში იყავით და... აი სხვე- ბთან ერთად ტაშით აგუგუნდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს იყო მაღალი ხელოვნება. თუ ვიქტორ ჰიუგო ამბობს, რომ ძნელია ადამიანის სულში ჩახედვა და მით უფრო დამნაშავის სულშიაო, ეს ლადომ საოცარის ხელოვნებით და ბუნებრიობით მოახერხა და საშინელ უფსკრულში, დამნაშავე ადამიანის სულში ერთის განათებით ჩაგვახედათ, გაგვიშუქათ ეს ბნელი კუთხე, რომელიც უთუოდ თქვენს ბუნებასაც თან ახლავს და მით გამიარათ მარადიულ ცალღებს დაავადებულ ფსიქიკისას. ამითი ლადომ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მონინაამდეგეებს, რომელთაც არა სჯერათ — მსახიობის ხელოვნებაც დიდად მაღალია. ამისათვის მიუცვევბთ ლადოს, რომ სხვაფრივ ესეთი ტლანქი პიესა დაგიდგათ. ლადოს ხელში მესამე მოქმედება იყო სრული გამომხატველი რუსი-ავტორის უხეშობისა.

მაგრამ აგერ რობერტ ჰაუპტმანის "ავადმყოფ ხალხში". ეს ავზ-ნიანი ნერვების პატრონი ჭაბუკი. მისი განუყრელი მოკლე ჩიბუხი პირ-ში და უდროოდ ჩამჭკნარი, ჩაყვითლებული ახალგაზრდა სახე. აქაც უმ-წვერვალეს გაანრხლების შემდეგ ნერვული ანთება ჩიბუხისა, ასანთი რომ ხშირ-ხშირ უქრება და აკანკალებული ხელის გამო ცეცხლი თამბაქოს კი არა ხვდება, არამედ ხან ტარს ჩიბუხისას, ან ხან სულ აცილებს. აქაც ბუნებრიობა, აქაც ხელოვნებითი სიმართლე. მარტო ამ ჩიბუხის ანთების საუქრიად უნდა მოსულიყავით.

მაგრამ ახლა სულ სხვა მხარე მისი გამომსახველობისა — პრინ-ცი — "იაკობინელებში". ეს სულ უმნიშვნელოა და აქ მხოლოდ გარეგნო-ბაზეა საქმე. ლადოს თეთრი თმა შავად ქცეულა, კიდევ უფრო დაკულულე-ბულა, ულვაშები მხოლოდ ამწვანებია და მოსხლეტილ ვაჟკაცს შეენის მოკლეანდრეული აბჯარმორთულება. მარტო მისი შემოსვლა! ძალაუნებურად ცაში უკრავთ ამ დარდიმანდად მომავალ ჭაბუკ-პრინცს. რამდენი მიმ-მიდევლობა/-რა ეშხი და სანდომიანობა. ამისთანა პრინცს ქალები

ეროვნული ბიბლიოთეკა



უსათუოდ შეიყვარებენ და ჭაბუკები მისთვის თავს დასდებენ. სხვა არაფერიც არ არის საჭირო ამ როლისათვის. თუნდაც არაფერი სთქვას. თუნდა შემდეგ მოქმედებებში ხელ ნუ იმოქმედებს. ტიპი უკვე შექმნილია.

და რომელი ერთი.

მაგრამ მივიდეთ უფრო ახლოს, იმ მწვერვალთან, რომელზედაც ეგრე ამაყად იდგა ლადო და რა მწვერვალიც ჩვენ ყველაზე უფრო გვიყვარდა.

აქ უწინარეს ყოვლისა შევჩერდებით "ურიელ აკოსტას".

ჩემის ფიქრით ეს იყო ლადოს მიერ ყველაზე უფრო დამთავრებული და ყველაზე უნაზესი შენაქმი.

ლადოს შეიძლება არ დაეთანხმოთ როლის გაშუქებაში. აკოსტა ავტორის აზრით უწინარეს ყოვლისა მოაზროვნეა, ფილოსოფოსი და მისი ტრაგედიაც ამ აზროვნების კონფლიქტშია მოთავსებული. მე მინახავს ადელჰეიმი. ამ როლში ის სწორედ ამ აზროვნულ მხარეს აქცევდა ყურადღებას. მინახავს გრიმი ცნობილი გერმანელი მსახიობის ბარნაისა. ამ გრიმზე უფრო ფილოსოფიური მეტყველებაა აღბეჭდილი და მე მგონია, ავტორსაც სასიყვარულო ინტრიგა პიესაში მხოლოდ ეპიზოდურად აქვს შეტანილი, რომ პიესა მშრალი არ იყოს.

ლადო კი სულ სხვაგვარ სჯიდა და ჩვენ შეიძლება "დოქტრინერებს" გვამარცხებდა კიდეც თავის მსჯელობით. მან უკეთ იცოდა რომ განყენებული ნაკლებ აჩქროლებს გულს. ისიც სასიყვარულო მხარეს როლისას უსვამდა ხაზს.

ლადოც აკოსტაში უფრო ხალხთან იყო.

"იუდით, იუდით!" ეს გულიდან ამონაკვნესი ხმა. "ისიც გამშორდა! – ცრემლების ყლაპვით წარმოთქმული ანდა ყველაზე უმშვენიერესი,–

–ბოლო აქტში. "ბეჭდები მეცვალეს!" – ახლაც ყურში მიდგას ეს ფრაზები. საკმაოა ეს სამი ფრაზა ლადოსაგან თქმული, რომ მსმენელი მოხიბლოს და თანაგრძნობით განიმჭვალოს ურიელისადმი. ამის შემდეგ თქვენ მის ბენაკიბასთან კამათსაც სიამოვნებით ისმენთ, სილვასთანაც მის მშრალ პაექრობას. თქვენ დაპყრობილი ხართ და უკვე მის ფილოსოფიასაც ხალისით თან დაჰყვებით უამისოდ ვინ იცის ნაკლებ დაგეჯერებინათ აკოსტასი. მაგრამ ჯადოსანმა ლადომ ჯერ სწორედ ეს ადამიანური მომხიბლაობა აკოსტას ბუნებისა გამოჰფინა წინ და მით მიგვიზიდა თავისკენ. მერე როგორი გარეგანი სამოსით მოსავდა იგი აკოსტას. ჯერ ერთი, ტანსაცმელიც მისგან იყო შეთხზული. ესპანური ჯუბა, მხოლოდ სახელოებგამშლილი, ქართულ ყურთმაჯასებ, ტრიკო, მოკლე შარვალი, "ტუფლები" და რბილი ქერ-ქუდი. სულ ყველაფერი შავი ფერისა.

შავი კოსტა წვერ-ულვაში, მხრებამდე დაყრილი შავი, ხუჭუჭა თმა. მართლა ჰგავდა ქრისტეს, ძველ მხატვართაგან შესრულებულს. განსაკუთრებით მეოთხე მოქმედებაში, როდესაც თეთრ გრძელ პერანგში იყო გახვეული.

აკოსტას სურათი დარჩა, მაგრამ სურათს ბევრი აკლია სიცხადემდე, ეგ მხოლოდ თითქო ლანდიაო სინამდვილისა.

და რამდენი მოგონებაა დაკავშირებული ამ "აკოსტასთან". ქუთაისში პირველად მისი დადგმა, შემდეგ გამგზავრება ბათუმს და შავი ზღვის პირ ქალაქებში. თითქმის უსუფლიოროდ რომ ვასრულებდით მთელ პიესას.

ულამაზესი იდეით ქართულ სცენაზე განსვენებული ავალიშვილის ქალი, კოტე ყიფიანი – დე=სილვა, საცოდავი დესპინე ივანიძისა – მშვენიერი ალმასრულებელი ურიელის დედის, დათიკო ჩარკვიანი – ბენ=იოხაი, გუნია – ბენ= აკიბა და სხვ. მეც ხან დე=სანტოს, ხან დე=სილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი გულწრფელი აღტაცება ხალხისა, მსახიობებისა, ოვაციები.

ერთი ღამე ქუთაისში:

ურიელ აკოსტა პირველად. მშვენიერი აღსრულება ლადოს მხრივ, სრული გაშლა მისი ძლევა ტემპერამენტისა, კარგი ანსამბლი, ტაში, გამოწვევა დაუსრულებელი. მაგრამ აი, საბოლოოდ ჩამოეშვა ფარდა, ნერვები შეაწეულია, არ გვეძინება. გვინდა სულ აღსრულებულ მღელვარე შთაბეჭდილე-ბაზე ვილაპარაკოთ, გავუზიაროთ ერთიმეორეს ჩვენი ესთეტიკური [illegible]–ვანი.

ლადო სასტუმროში დგას. აი უნდა ყველანი გამოვეთხოვოთ ერთიმეორეს. მაგრამ ლადო მე არ მეშვება.

–წამო ჩემთან, ნომერში.

რა დიდი სიხარულია ჩემთვის.

მივდივართ და კიდევ დიდხანს ვსაუბრობთ.

ლადო მოსვენებული ლოგინზე, შინაობაში.

მე ჯერ ასეთი არ მინახავს:

რა საოცარია ღმერთო!

ეს სახე ასეთ შინაობაშიც რა წარმტაცია, რა ღვთაებრივი. პირველად მაშინ ვიგრძენ, თუ რა დიდი ესთეტიკური სიამოვნება შეიძლება განგვაცდევინოს ადამიანის, ჩვეულ ადამიანის სახემ. მაგრამ აი, ჩაეძინა ლადოს. მე ვერ ვხუჭავ თვალს. დიდხანს შევცქერი.

უსათუოდ ეს კლასიკური ნიღაბი ლადოსი დიდი სილამაზის მატარებელია.

მაგრამ აი გათენდა, ჯერ სულ ადრეა. 7 საათი თუ იქნება დილის. ვდგებით ორივენი. სად წავიდეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

–მამასთან, ჩემთან– ვეუბნები მე და... მივდივართ.

ეს ბუმბერაზი კაცი ჩემს წარმოდგენაში როგორ ამყვა მე ბევრად მასზე უმცროსს, გამოუცდელ ჭაბუკს.

მივდივართ მამასთან და ახლა იქ მათი საუბარი ხელოვნებაზე, საქართველოზე, შექსპირზე.

თურმე ლადო განვითარებული კაცის ყოფილა.

წარმოიდგინეთ სცენით და ხელოვნებით ისედაც გატაცებული ჭაბუკის სრულ დატყვევება ამ პიროვნებით, ამ დიდი მსახიობით. და განა მე ვიყავ ასე მარტო, მე რომელიც ასე ადრე დავუახლოვდი და სულ სიკვდილამდე ვიყავ ბედნიერი მისი ნაზი მეგობრობით, არამედ ისინიც, ვინც უფრო შორს იდგნენ, მაგრამ მაინც იხიბლებოდნენ, როგორც მისი არტისტობით, ეგრევე პირადობით.

გავიხსენოთ მისი ფრანცი.

კუზიანი, ცხვირბუშტა, წითელთმიანი, დაჭორფლილი სახით და თითქო მუხლგადმობრუნებული, კოჭლი, საშინელება. შეიძლება არც ეს იყო მართალი განსახიერება, მაგრამ როგორ ნათლად გრძნობდით რა დიდ მსახიობთან გქონდათ საქმე.

მას შემდეგ ამ როლში ქართულ სცენაზე ბევრი ვერ გაექცა მისგან შექმნილ ტრაფარეტს და ა მიტომ კარიკატურა გამოუვიდა, ხოლო ვინც გადასცდა მის ფარგალს, დამარცხდა. ხალხმა იგი არ შეიგუა. ისეთი ღრმა კვალი ჩასტოვა ამ როლში ლადოს საოცარმა ნიჭმა.

იკითხავთ ჰამლეტს.

მე არ მომწონდა ჰამლეტი.

შეიძლება ამის მიზეზი იტალიელი ბუმბერაზი ერნესტი როსი იყო. მე იგი ვნახე ჩემი სიყმაწვილისას და როსის გადახრილობის ჟამს. ამას აქვს მნიშვნელობა.

სიყმაწვილის შთაბეჭდილება უზარმაზარია და გამოუხუნებელი. როსის მოხუცმა კი ჰამლეტისათვის საზარალოა.

ჰამლეტი სულით არის მოხუცებული მხოლოდ.

მაინც ამ ჭარმაგ როსი– ჰამლეტის ნახვის შემდეგ, ლადომ ვერ დამაკმაყოფილა.

მართალია მე იტალიური არც ახლა მესმის, როსი კი იტალიურად ასრულებდა, მაგრამ იმდენად გამომეტყველი იყო მისი ასრულება და ჩემი ნაცნობობაც პიესასთან არ იყო ისე ზერელე, რომ ვერ მიმხვდარიყავ როსის სახეობას.

მაგრამ უთუოდ აქაც ჰამლეტის ფილოსოფიური მხარე სძლევდა ლადოს და მოგეხსენებათ, ჰამლეტს სასიყვარულო გასაქანები ნაკლებად აქვს. მისი განსჯა და აზრი, ვიტყვი თამამ სიტყვას, ერთგვარ ლირიზმსაც მოკლებულია.

ჰამლეტი განყენებული აზროვნება უფროა და ესეთი ფარგლები არ ესალისებოდა ლადოს მსახიობურ ტემპერამენტს.

რა თქმა უნდა, ლადო ჰამლეტისთვისაც უღრესი მადლობის ღირსია, რომ ეს მსოფლიო ლიტერატურის დიადი გმირი, ილიასი არ იყოს " ჯავვიშინაური" და ჯავვიშინაურა როგორ:

გარეგნობით ლადოსთანა მოხდენილი ჰამლეტი იშვიათია. ზედმიწევნით კარგა ჩაცმული, ულამაზესი, სევდამოპყრობილი სახე და პოზები, პოზები ისეთი, რომელიც მხატვრის კალამს გამოიწვევს ტილოზე ასახმაურებლად. ყოველივე ეს დიდი განძია, რომ ასეთი სამოსით მოესმინათ სცენიდან შექსპირის უკვდავი, გენიოსური სიტყვები.

მაგრამ რასპლუევი, გოროდნიჩი, ოსტროვსკის " შემოსავლიან ადგილში" ძველი მოხელე?

ეს სულ სხვა სფეროა ლადოს შემოქმედებისა. ყველა ეს როლები თითქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო კომიკ მსახიობისაა, მაგრამ ლალო როგორ მაღლდება ამ როლებშიაც.

განსაკუთრებით "გოროდნიჩში".

ყველას "რასპლუევი" უფრო ახსოვს, მაგრამ უსათუოდ დიდად აღსანიშნავია "გოროდნიჩი".

ჭკვიანი და გაიძვერა. უფლებისმოყვარე და რკინისმაჯიანი. არავითარი შარჟი, არც ერთი გაქანება იაფფასიან კომიზმისაკენ. ნამდვილად ტრაგიკული ფიგურა ძველი რუსეთისა. და მართლაც არავის არ ეცინება ლალო-გოროდნიჩის მოქმედებაზე. განსაკუთრებით ბოლო მოქმედებაში. იგი მაღლდება ტრაგედიამდე. აღარ გვეცინება, მხოლოდ უსიამოვნო გრძნობა: რა ცუდი მოწყობილია ცხოვრება, როგორ გასულელდება ჭკვიანი კაციც კი, ისეთ უხეირო პირობებში, რომელიც შექმნილია თვით სკვოზნიკ-დმუხანოვსკების მიერ.

აქაც ლალო გვასწავლის თუ როგორ სერიოზულად უნდა მოვეპყრათ გაიძვერა ბუნებათა შესწავლას. აქაც ერთი გადახვევა ადამიანის სულის უფსკრულისაკენ.

და თქვენ კმაყოფილი მიდიხართ თეატრიდან. შეიძლება დღეს ნაკლები იცინეთ, მაგრამ ეგრე გვინდა, ეგრე გვეკადრება, მაგისთანა მათრახი! ეგრე ჩაგვაფიქრე!

ჩვენ მსახიობები კერძოდ კი, ბედნიერნი ვართ, რომ ვიცნობდით დიდ ლალოს და ვეზიარეთ მის მშვენიერ ფერწაუშლელ მხატვრულ შემოქმედებას, მის ესთეტიკურ სილამაზეს მოუწყინარს.

ყველამ კარგად ვიცით, თუ რა ძნელია საზოგადოდ რომელიმე კულტურული საქმის დაწყება და დაარსება. მაგრამ კიდევ უფრო ძნელია ხოლმე ამ საქმის განგრძობა და ღირსეულ სიმაღლემდე აყვანა.

ქუთაისისათვის მუდმივი დრამატიული დასის შემქმნელი და დამაარსებელი არის, როგორც აღინიშნა კიდეც, ჩვენი სცენის დამსახურებული მსახიობი კ. მესხი. ხოლო ამ საქმის მართლა ღირსეულად განმგრძობი და ნამდვილი მუშაობის გამჩაღებელი ვლ. ს. მესხიშვილია.

მას შემდეგ, რაც ქუთაისის ბულვარში გაშენებული კოხტა თეატრი დაიწვა და ამ თეატრის მოიჯარადრე და ქართული დასის ხელმძღვანელი კ. მესხი თბილისს გადასახლდა, ქართული წარმოდგენების მართვა ქუთაისში იკისრა ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფმა. ეს ჯგუფი თავის წარმოდგენებს მართავდა ძველ, ხარაზოვისეულ თეატრში და გასტროლებზე გამოჰყავდა ვლ. ალექსი- მესხიშვილი. ეს იყო 1893-1894 წლებში. შესანიშნავია მესხიშვილის მიერ მაშინდელი გამხნევება ამ პაწია ამხანაგობისა. იგი ერთ თავის წერილში სწერს ამ ამხანაგობას, რომ " იყავით ერთად, იყავით ნამდვილი ამხანაგები ერთიმეორისა, იშრომეთ და გაისარჯეთ და მომავალი თქვენი იქნება".

1895 წელს ქალაქმა გამოისყიდა და ხარაზოვისეული შენობა საფუძვლიანად გადააკეთა კიდეც და 1896-1897 წლ. ამ პაწია ამხანაგობამ ლადო მესხიშვილის მეთაურობით სეზონი გააჩაღა.

აქედან იწყება ლადო მესხიშვილის მოღვაწეობა ქუთაისში.

ამის შემდეგ მთელი ათი წლიწადი დაჰყო მესხიშვილმა ქუთაისში, 1906 წლის ალიხანოვის საზარო შემოსვლამდე ე.ი. იმ დრომდე, სანამ კულტურული მუშაობა კიდევ შესაძლებელი იყო, და მთელი ეს ათი წლიწადი მისი მუშაობა ქუთაისში, ეს მხოლოდ მისი დამსახურებული ტრიუმფი იყო, მისი დღესასწაული, მისი გამარჯვება.

ქუთაისის საზოგადოებამ ინამა ლადოს დიადი ნიჭი. შეიყვარა იგი და თავის მხრითაც დიდი ამაგი დასდო განსაკუთრებით მისი ავად-

მყოფობიდან განკურნების საქმეს.

ლადო მესხიშვილი!

ეს მართლაც ჯადოსნური სიტყვა იყო ქუთათურებისათვის. ყოველი მის მიერ ახალი შექმნილი როლი, ახლადწარმოდგენილი პიესა იწვევდა მსმენელთა შორის აზრთა შეხეთქებას, ზოგჯერ მწვავე კამათსაც. ასეთი იყო მის მიერ ქუთაისის სცენაზე შექმნილი როლები: რასპლუევი "კრეჩინსკის ქორწინებაში", სუხოვი- კობილინისა; რობერტი "ავადმყოფ ხალხში" – ჰაუპტმანისა; გოროდნიჩი "რევიზორში", ეგარი "მეფე ლირში", ქუთაისის სცენაზე შექმნა უკვდავი ტიპები ცარციუფისა და იუსტოვისა", შემოსავლიან ადგილში".

ვინც კი ერთხელ მაინც მისი ხელმძღვანელობით მომზადებულა, უთუოდ აფასებს ამ მადლიან ძალას ლადოს რეჟისორობისას, რომელსაც მასშიაც ჩაუბერავს რაღაც დიდი სული შემოქმედებისა და ისიც ამოძრავებულა, ათამაშებულა.

მხოლოდ იმავე დროს იგი დიდ ყურადღებას აქცევდა საქმის სარეჟისორო მხარეს. ბევრზე ბევრი პიესა დაუდგამს მას მხატვრულად, მაგრამ ყველაზე უფრო აღსანიშნავია "ქეთევან ნამებული"-ს დადგმა. ჯერ ერთი რომ ინიციატივა ამ პიესის სცენაზე დადგმისა და ნებართვის აღების თვით მას ეკუთვნის. პირველად მან აიღო ნებართვა და დიდი ხნის აკრძალვის შემდეგ, პირველად მან დადგა ეს პიესა ქუთაისის სცენაზე. მხოლოდ ვისაც უნახავს ეს პირველი ნარმოდგენა "ქეთევანი"-სა, დიდხანს არ დაავიწყდება, მისი რეჟისორული მხრით, მართლაც საგანგებო მოწყობა და მორთვა: ალავერდობა, ხმლების თავი ფიცის დროს, ჯარის ალლუმი, ეს პირველად ქუთაისის სცენაზე არ შეიძლება საზოგადოდ ქართულ სცენაზე ლირსეულად და სათანადოდ იყო ნარმოდგენილი. ასე, რომ რეჟისორის მხრივაც პირველობა ლადოს ეკუთვნის.

და აი დადგა მოძრაობის ხანა. თავადაზნაურობის კრებაა, ბრწყინვალე წოდება აღშფოთებულია მდგომარე მომენტით. ლადო მესხიშვილი მის ლოჟაში, როგორც უბრალო მსმენელი. გამწვავებული კამათია. ამ დროს წამოდგება ერთი აზნაურთაგანი და აღშფოთებული კრებას ეუბნება: "ბატონებო! აქ ჩვენ შორის იმყოფება ის კაცი, რომელიც ჩვენ მიერ გაღებულ ფულით ცხოვრობდა, ჩვენ მიერვე შეკრებილი ფულით გავგზავნილ იქმნა საზღვარგარეთ განსაკურნავად, ეხლა დაბრუნდა და მადლობის მაგიერ აქ ხალხს "გვიბუნტებს", შფოთისა და ამბოხებას სთესავს თავის წარმოდგენებით, თავის სცენიდან-ქადაგებით, "კა=ვრაკი" — სთანა პიესების დადგმით. ეს კაცი ლადო მესხიშვილია"!

მართლაც რომ ისტორიული მომენტია.

ლადო მესხიშვილი წამოდგება და ამბობს თავის შესანიშნავ სიტყვას, რომელიც მგონი ყველა მაშინდელ გაზეთებში იყო დაბეჭდილი: "ბატონებო! ლადო მესხიშვილი მარტო ერთ რომელიმე წოდებას არ ეკუთვნის. თუ თავადაზნაურობამ მისცა მას საშუალება წასულიყო განსაკურნავად, აგრეთვე გაიღო თავისი წვლილი ხალხმაც. ლადო ხალხისაა, ხალხის შვილია და იგი მოვალეა სცენიდან უთითებდეს ყოველგვარ უსამართლობაზე... თქვენ კიდევ მოხვალთ და გაიღებთ წვლილს, რომ ნახოთ ლადო მესხიშვილის სცენაზე და ის კი კვლავ დაგანახვებთ თქვენს ნაკლს!"...

ჭეშმარიტად, დიდბუნებოვანი კაცის სიტყვებია...

მაგრამ საბედნიეროდ. მე ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას. საბედნიეროდ ლადოს ცხოვრებაში არის მეორე შესანიშნავი მომენტიც. მე ვამბობ მის საჯარო გასამართლებაზე, ისეთი ამბები მხოლოდ რჩეულთ თუ შეემთხვევათ ცხოვრებაში. მგონი მეტი არ იქნება ვთქვა, რომ ისეთი გასამართლება მოგვაგონებს ანტიკურ გმირთა საჯარო გასამართლებას.

თუნდა სოკრატეს ამბავი ავიღოთ. მხოლოდ სასიხარულო ის არის, რომ ჩვენმა ხალხმა ამ შემთხვევაში მეტი გამჭრიახობა გამოიჩინა, ვიდრე მაშინდელმა "არქონტებმა".

ისეთი დრო იყო. " ხელახალი შეფასება ყველა ღირებულებისა"... მოდი, ლადოც შევაფასოთ! – მით უფრო ამას ხელს უწყობდა ზოგიერთის პირადი ანგარიშიც. და აი დაიწყო შესანიშნავი გასამართლება ჩვენი სცენის სიამაყის ლადო მესხიშვილისა. არჩეულ იქმნენ მოსამართლეები. თვით ხალხმა აირჩია ისინი. ბრალდებაც წამოყენებულია, ბრალდებულნიც აქ არიან, მოწმეებიც. ყოველივე რიგზეა. სამართალი წარმოებს. ხალხის გულიც ხან ერთ მხარეზეა, ხან მეორეზე, ტორტმანშია, მერყეობს, სანამ საქმე სრულიად გამოირკვეოდეს. რამოდენიმე სხდომას ანდომებენ საქმეს. ლადოს მეგობრები დამწუხარებულნი არიან. იმიტომ კი არა, რომ ის მართალი იყვეს-არა, ეშინიათ. ისეთი დროა – ვაითუ სიმართლემ ვერ გაიტანოს და... შეუწყნარებელი, გამოუსწორებელი რამ მოხდეს. მაგრამ აი ლადო წამოდგა საბუთებით ხელში და... მზეს ვერ მოხვდა ის ტალახი, რომელიც მას ესროდეს. სიმართლემ გაიმარჯვა. დამსწრენი ამბობენ, რომ ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონიათ.

ეს იყო უკანასკნელი " აკორდი" ლადოს ცხოვრებისა ქუთაისში და ამანაც ჰარმონიული ხმა გამოსცა.

ისეთი იყო ლადო ქუთაისს. ეს არის ესკიზური ნაკვთი მისი მოღვაწეობისა და სრული-დარწმუნებული-ვარ, რომ როგორც საერთოდ ჩვენი თეატრის ისტორია, ეგრეთვე კერძოდ ქუთაისის სცენა ოქროს ასოებით ამოჭრის მის სახელს და მისდა საპატიოდ უფრო წინ წასწევს იმ საუკეთესო ტრადიციას, რომელიც ლადო მესხიშვილმა მაღლა აწეულ დროშით ამ თეატრს გადასცა.

---

# ლადო მესხიშვილი თეატრის შესახებ

ლადო მესხიშვილი ქართული რეალისტური სასცენო ხელოვნების ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა. მესხიშვილი როგორც მსახიობი, ~~რეჟისორი თავის~~ მოღვაწეობის მანძილზე აყალიბებდა შეხედულებებს
მაყურებლის აღზრდის საქმეში
საქმეში თეატრის დანიშნულებისა და სასცენო ხელოვნების შესახებ.

ლადო მესხიშვილმა ჭეშმარიტმა პატრიოტმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მშობლიური თეატრის განვითარებას.

თეატრისადმი სიყვარული მომავალ მსახიობს ბავშვობიდან აღეძრა და ეს სიყვარული მან შეინარჩუნა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.

სიყვარულს თეატრისადმი, დიდ პასუხისმგებლობის გრძნობა მსახიობის პროფესიისადმი იგი ყოველდღიურად უნერგავდა მის გარშემო მყოფთ და ეხმარებოდა ახალგაზრდობას მსახიობის ოსტატობის დაუფლების საქმეში.

90-იანი წლების თითქმის ყველა გამოჩენილმა მსახიობმა გაიარა მესხიშვილის სკოლა. მათ რიცხვში არიან: ნუცა ჩხეიძე, ნინო დავითაშვილი, მარო მდივანი, ნატალია ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, ვასო ბალანჩივაძე, ვალერიან შალიკაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, ალექსანდრე იმედაშვილი, ნიკო გვარაძე, ვასო ურუშაძე და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ მესხიშვილი პროფესიონალი მსახიობი იყო, იგი არასოდეს არ ამბობდა უარს თვითმოქმედ სპექტაკლებში

მონაწილეობაზე, ხოლო ბათუმსა და ქუთაისში თვითონ ხელმძღვანელობდა ამ წრეებს. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხურ შემოქმედებას. თუ რამდენად სერიოზულად ეკიდებოდა იგი თვითმოქმედებას, როგორც მასების თვითშეგნების განვითარების ერთ-ერთ საშუალებას, ნათლად ჩანს სტატიიდან, რომელიც უძღვნა თვითმოქმედ სპექტაკლს. გაზეთ "ივერია"-ში/ 1892წ., 23/XII №146/ იგი წერდა: შეიქმნა, რატომღაც, რწმენა იმისა, რომ დრამატული ხელოვნების მოყვარულთა მკაცრი გაკრიტიკება არ შეიძლება, იმის გამო, რომ, თითქოს, ისინი "მისდევენ გულის სწრაფვას" და მათ მთავარ ამოცანას ქველმოქმედება წარმოადგენს..." და შემდეგ: "ვიჭრებით რა ბ-ნ სცენისმოყვარულთა თეატრალურ საქმეებში, ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს თავის მოწონების, არც მამხილებლად გამოსვლის სურვილი, არამედ ჭეშმარიტად გვსურს მივუთითოთ იმ შეცდომებზე, რომლებსაც უნებურად უშვებენ სპექტაკლების ხელმძღვანელები".
შემდეგ იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ "მოყვასის დახმარების მსურველმა სცენისმოყვარულებმა" უნდა აღმოაჩინონ საშუალება იმისა", რომ ეს სურვილი არ რჩებოდეს "ლიტონ ბგერად" და ემსახურებოდეს ჭეშმარიტ მიზნებს.

ლადო მესხიშვილი მსახიობებისაგან მოითხოვდა გაასრებულ თამაშს, როლის ცოდნას. 1950 წლის 22 ნოემბერს გამართულ ლადო მესხიშვილის ხსოვნის საღამოზე კონსტ. ანდრონიკაშვილი იგონებდა:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

"ლადო ყოველთვის ამბობდა და სხვასაც ასწავლიდა, რომ გრძნობა და აზრი უნდა გამოითქვას სცენაზე გასაგებად. მსახიობმა უნდა იცოდეს რას თამაშობს, ვის თამაშობს და რისთვის თამაშობს. იგი ამბობდა - "როდესაც ეს ცხადია, მსახიობის თამაშიც მაშინ არის დამაჯერებელიო".

იმავე კ. ანდრონიკაშვილის მოგონებით მესხიშვილი, მიიღებდა თუ არა როლს, დაიზეპირებდა, მრავალჯერ იმეორებდა და თავის პარტნიორებსაც ამეორებინებდა. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა მსახიობებთან ურთიერთობის დამყარებას სცენაზე და ამით აღწევდა ანსამბლიურობას, თავის დონემდე ამაღლებდა ყოველი აქტიორის თამაშს, თავისი შემოქმედებითი ცეცხლით აღაგზნებდა სხვებსაც, რითაც აღწევდა სპექტაკლის მაღალმხატვრულობას.

ლ. მესხიშვილი დიდ მოთხოვნილებას უყენებდა პროფესიონალ მსახიობს. ის არასოდეს არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით. გულმოდგინე შრომით მუდმივად სრულყოფდა შექმნილ სახეს და ეხმარებოდა ახალგაზრდობას ღრმად ჩასწვდომოდნენ განსასახიერებელი როლის ყოველ ნიუანსს. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა მსახიობის მიერ ნაპოვნი დეტალის შენარჩუნებას და მის გაზრდას.
ამ მხრივ საინტერესოა ა. ვასაძის მოგონება: " ერთხელ მესხიშვილი თამაშობდა პროფესორს, ხოლო ვასაძე მისი ასისტენტის როლს. ვასაძეს ჰქონდა სულ ორი ფრაზა, რომელიც სპექტაკლამდე დიდი ხნით ადრე დაისწავლა. მაგრამ მესხიშვილის თამაშით გატაცებულ ვასაძეს დაავიწყდა სიტყვები და ჟესტით მიიწვია პროფესორი.

როლესაც გამოიწვია, შეეშინდა უსიამოვნების და დაიმალა. მესხიშვილმა მაინც მოძებნა იგი და მოუწონა ნაპოვნი დეტალი: "ხშირად სიტყვა არ გამოხატავს დიდ ხელოვნებას სცენაზე სიჩუმე. უფრო დიდ ოსტატობას მოითხოვს, ვიდრე სიტყვაო".

როგორც რეჟისორი, მესხიშვილი სისტემატურად მუშაობდა ახალგაზრდებთან, უნერგავდა მათ მსახიობის ოსტატობის ჩვევებს. ნ. ჩხეიძე იგონებს, რომ აქ მჟღავნდებოდა მისი ნიჭი როგორც პედაგოგისა: "მუშაობის პროცესში დათოს რეჟისორობა ყველას ცეცხლს უღვიძებდა. მისი რჩევა დარიგება იმდენად უბრალო და დამაჯერებელი იყო, რომ სულ უნიჭო უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ მისი შენიშვნები არ აეთვისებინა".

როგორც თავისი საქმის პატრიოტი, დ. მესხიშვილი ყოველთვის მზად იყო სიტყვით თუ საქმით დახმარებოდა არა მხოლოდ თავის მოწაფეებს, არამედ სცენის მომწიფებულ ოსტატებსაც. ცნობილია ფაქტი, რომ ერთხელ მესხიშვილი ესწრებოდა "ტრავიატას" წარმოდგენას ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენის შემდეგ იგი შევიდა კულისებში და უთხრა იმ დროისათვის უკვე სახელმოხვეჭილ მომღერალს: – "ხვალ მოდი ჩემთან, გასწავლი როგორ უნდა არშიყობაო". ეს არის ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ უზიარებდა დათო თავის მდიდარ გამოცდილებას თავის კოლეგებს.

თეატრის შესახებ მეტად საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული დათო მესხიშვილის მოხსენებაში, რომელიც წაიკითხა 1895/96 წ.წ. ზამთრის სეზონის დამდეგს თეატრალურ საზოგადოებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მესხიშვილი ლაპარაკობს წარსული სეზონის არასრულყოფილობაზე და აღნიშნავს შეცდომებს, რომლის გამოსწორების გზით უნდა განვითარდეს ქართული თეატრი.

იმის გამო, რომ "ყველა ახალი და ზოგი ძველი პიესა ცენზურამ განიხილა არა სეზონის გახსნამდე, არამედ მისი მსვლელობის დროს", ბევრი დრო იხარჯებოდა როლების გადაწერაზე და არა რეპეტიციებზე, რაც უდაოდ აფერხებდა საქმეს. " ამის გამო პიესები იდგმებოდა ნაჩქარევად, ერთი ან ორი, არასრული რეპეტიციით". რეპეტიციებისათვის გამოყოფილი იყო საათების მცირე, არასაკმარისი რაოდენობა. მისი აზრით ეს მეტად არახელსაყრელ გავლენას ახდენდა დადგმებზე. იგი მიუღებლად თვლის იმ გარემოებას, რომ " ჩვენს რეჟისორი იმავე დროს იყო ადმინისტრატორიც, რამაც უდაოდ დიდი ზიანი მოუტანა საქმის მხატვრულ მხარეს", რადგან რეჟისორს დაკავებულს სამეურნეო საკითხებით არ შეეძლო "სათანადო მომზადებით შეეგებოდა თავის პირდაპირ მოვალეობათა შესრულებას". საქმის წარმატებისათვის იგი თვლის აუცილებლად რეჟისორის განთავისუფლებას სამეურნეო მოვალეობებისაგან. მესხიშვილი ლაპარაკობს საქმის ხელშემშლელ პირობებზე და აღნიშნავს " მსახიობთა განვითარების ცალმხრივობასაც". იგი აუცილებლად "მოთხოვნილებად" თვლის თეატრში "სასცენო დარგის და საერთოდ ლიტერატურის სფეროდან" გამოცემათა არსებობის აუცილებლობას, რათა მსახიობებს მიეცეთ საშუალება გაეცნონ "თანამედროვე ლიტერატურის უახლეს ნიმუშებს". შემდგომ იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ სასურველი იქნებოდა ახალგაზრდა

მსახიობთათვის მოწყობილიყო " ლექციები თეატრალურ ხელოვნებაზე". ეს, მესხიშვილის აზრით მისცემს მათ შესაძლებლობას "უფრო კრიტიკულად მიუდგნენ თავიანთ როლებს და მოვალეობას".

იგი კატეგორიულად უარყოფს "უბედურ ჩვევას"- ნაცვლად "როლის მისი სახლში თავისუფალ დროს შესწავლისა". მას დაუშვებლად მიაჩნია თეატრის მუშაობაში მსახიობთა დაჯარიმება და "დატუქსვა". აუცილებელია, " ხელმძღვანელებმა თანდათანობით დაიყვანონ მსახიობთა შეგნებამდე, რომ თეატრი მოითხოვს გააზრებულ დამოკიდებულებას მისდამი და არა დაქირავებულ ხელოსანთა შრომას". უდაოა, ამ " შეგნების" მიღწევა შესაძლებელია მარტოოდენ მოთმინებით და დაჟინებით. თეატრის უდიდეს უბედურებად იგი თვლის "მსახიობ- ჩინოვნიკებს", რომლებიც გართულნი არიან "გარეშე საქმიანობით". " სხვა საქმეებისაგან სრულიად თავისუფალი დასის არსებობა აუცილებელია" - ამბობს მესხიშვილი. ასევე აუცილებლად მიაჩნია მას თეატრში " აქსესუარული ძალების" არსებობა, რომელიც საჭიროა მასიური სცენების დასადგმელად. ვინაიდან მასობრივი სცენების მონაწილეთა ქუჩიდან / ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით/ მოყვანა არ იძლევა მათთან რეპეტიციების ჩატარების საშუალებას, რასაც სპექტაკლში აღრევა შეაქვს. უდაოა, რომ " დეკორატიულ და სადადგმო მხარეთა უქონლობა აგრეთვე აქარწყლებს ილუზიას - პიესის წარმატების ორ-მესამედს". ყველა ზემოაღნიშნული-ლ. მესხიშვილის აზრით წარმოადგენს თეატრალური საქმის განვითარების აუცილებელ პირობას. შემდეგ იგი გადადის საქმის - უფრო ღრმა" მხარეზე, თეატრში " ზნეობრივი ჩაგვრის" არსებობაზე. მისი აზრით თეატრში

მსახიობთა შორის უნდა იყოს დამყარებული "წმინდა ადამიანური, ურთიერთ ამხანაგური დამოკიდებულება". თეატრში არსებული "უამ-ტრემოყვარული" ტენდენციის არსებობას იგი ამ დამოკიდებულების დამყარების შემაფერხებელ მიზეზად თვლის. მესხიშვილი ადანაშაულებს თეატრალურ კრიტიკას მასში, რომ " იმის მაგივრად, რომ ყოფილიყო ობიექტური მოწმე და ხელმძღვანელი" დასისა, იგი ხდება აშკარა ხელშემწყობი მავნე გამოვლინებებისა, რომელიც შეიმჩნევდა მსახიობთა შორის.

ყოველივე ზემოთქმული მესხიშვილს აინტერესებდა, იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო თეატრისათვის — ხალხის მასების აღმზრდელი, მაორგანიზებელი და დამრაზმველი ძალისათვის.

მესხიშვილმა თეატრი საზოგადოების სამსახურში ჩააყენა, მან სპექტაკლებზე მიიზიდა ხალხთა მასები. ხშირად უბრალო ადამიანებს არ ჰქონდათ ფული, ისინი მიმართავდნენ მესხიშვილს, რომელიც გულისხმიერად ეკიდებოდა მათ თხოვნას. ლადო მესხიშვილი ხშირად ამბობდა:

— " რა ვუყოთ, რომ ფული არა აქვთ, თეატრი სკოლაა მათთვის და ჩვენ რა უფლება გვაქვს, კარი დავუხშოთ; მე მათთვის ვთამაშობ და ფართოთ ვაღებ კარი".

მესხიშვილის აზრით მსახიობი ვალდებულია ეუბნებოდეს ხალხს სიმართლეს. 1905 წ. ბობოქარ დღეებში ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის სავანგებო კრებაზე გამოსულმა მესხიშვილმა თქვა, რომ მისი შემოქმედება ეკუთვნის მთელ ქართველ ხალხს. იგი ხრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სარკე, რომელშიც ასახულია საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარე. 1905 წლის რევოლუციამ მგზნებარე შემოქმედი ბარიკადებზე აიყვანა. ლადო მესხიშვილმა შექმნა მთელი ეპოქა ქართული რეალისტური თეატრალური ხელოვნების ისტორიაში, შექმნა რეალისტური შესრულების შესანიშნავი ტრადიციები.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიდი იტალიელი დრამატურგი და თეატრის რეფორმატორი კარლო გოლდონი

მეთვრამეტე საუკუნე ცნობილია მთელი რიგი დიდი მოღვაწეებით, რომელთაც ისტორიამ განმანათლებლები უწოდა.

ფრიდრიხ ენგელსის თქმით " მეთვრამეტე საუკუნე იყო ეპოქა, რომელიც ამზადებდა ადამიანთა თავებს რევოლუციისათვის", განმანათლებლები კი წარმოადგენდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ უდიდეს ისტორიულ მისიას ახორციელებდნენ ფეოდალიზმის დასამხობად.

განმანათლებელთა შესანიშნავი პლეადის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია კარლო გოლდონი.

გოლდონი მოღვაწეობდა იტალიაში,- ქვეყანაში, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში, ცალკე ფეოდალურ მონარქიებად დაყოფილი, სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით უფრო ჩამორჩენილი იყო და ამიტომ მისი მოღვაწეობა ისტორიულად პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა.

კარლო გოლდონი დაიბადა 1707 წელს. წარმოშობით ის მესამე წოდებას ეკუთვნოდა. მამა ექიმი იყო, დედა კი ყოფილი მსახიობი. კარლო გოლდონი სიყრმიდანვე გატაცებული იყო თეატრით. თუმცა მამის სურვილით მან იურიდიული განათლება მიიღო, ადვოკატთა კოლეგიაშიც ჩაირიცხა ვენეციაში, მაგრამ მისი მთავარი მისწრაფება მაინც დრამატურგია და თეატრი იყო.

იმ დროს იტალიაში ძალიან იყო გავრცელებული ნიღაბთა იმპროვიზაციული თეატრი - კომედია დელ არტე , რომელიც სრულიად მოკლებული იყო მოწინავე იდეურ შინაარსს და არსებითად მხოლოდ აქტიორული ტექნიკის დემონსტრაციას წარმოადგენდა. ერთხელ და სამუდამოდ

დადგენილი პერსონაჟები იმპროვიზაციის წესით ასრულებდნენ სცენარს და ოსტატობა გამოიხატებოდა მხოლოდ იმაში, თუ ვინ უფრო უკეთეს კომიკურ ვარიანტს სცენურ ხერხს უჩვენებდა მაყურებელს. დაწერილი ტექსტი თეატრს არ გააჩნდა, ლიტერატურული დრამატურგია უგულვებელყოფილი იყო. ნიღაბთა თეატრი თავისი წარმოშობის პირველ ხანებში, მეთექვსმეტე საუკუნეში, აქტიურ ძალას წარმოადგენდა ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ დროთა განმავლობაში მან დაკარგა თავისი პროგრესული მისწრაფება და მხოლოდ და მხოლოდ გართობის ფუნქციას შეიცავდა.

კარლო გოლდონიმ განიზრახა დაებრუნებინა იტალიის თეატრისათვის მისი პროგრესული იდეური შინაარსი, რაც შესაძლო იყო მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული დრამატურგიის აღდგენით. ერთ-ერთ თავის პიესაში / "კომიკური თეატრი"/ კარლო გოლდონი წერდა: " დროა იტალიამ დაამტკიცოს, რომ მასში კარგი აქტორების თესლი არ ჩამკვდარა, – აქტორებისა, რომლებმაც ბერძნებისა და რომაელების შემდეგ პირველებმა გაამდიდრეს და განადიდეს თეატრი".

კარლო გოლდონი შეუდგა ლიტერატურული დრამატურგიის დანერგვას, ხოლო არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, რადგან მეტად ძნელი იყო " კომედია დელ არტეს მსახიობები ადვილად გადაჩვეოდნენ მრავალწლობით დადგენილ მუშაობის სისტემას. დასაწყისში, გოლდონიმ დაუწერა ლიტერატურული ტექსტი " კომედია დელ არტეს დასის მხოლოდ ერთ პერსონაჟს, შემდეგ კი თანმიმდევრულად გააძლიერა ლიტერატურული ტექსტის ხვედრითი წონა და ბოლოს შექმნა მთლიანად ლიტერატურული ტექსტის შემცველი ნაწარმოებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლდონის კომედიებმა თანდათან მოიპოვეს წარმატება იტალიის სცენაზე და ეს წარმატება განპირობებული იყო პირველ ყოვლისა ამ დრამატული ნაწარმოებთა შესანიშნავი მხატვრული ღირსებით.

კარლო გოლდონის მიერ შექმნილი ზნე ჩვეულებათა და ყოფითი კომედიები წარმოადგენდნენ იტალიის თანადროული ცხოვრების ცოცხალ ასახვის შეუდარებელ ნიმუშებს და, რაც მთავარია, თავისი შინაარსით ძირითადში მიმართული იყვნენ გაბატონებულ ფეოდალურ წოდების წინააღმდეგ. კარლო გოლდონი რეალისტური სიმახვილით და სიძლიერით ხატავდა საზოგადოებრივი ურთიერთობის მწვავე საკითხებს, ფართოდ აშუქებდა დაბალი წოდების მისწრაფებებს.

კარლო გოლდონის რეალისტური დრამატურგიის დანერგვამ გამოიწვია სამსახიობო ოსტატობის და მთლიანად იტალიური თეატრის რეფორმაც. გოლდონის კომედიების საფუძველში "კომედია დელ არტეს" პირობითი პერსონაჟები თანდათანობით იქცნენ ცხოვრებიდან აღებულ ცოცხალ გმირებად. და თუ გოლდონის კომედიებში ხშირად შეხვდებით "კომედია დელ არტეს" პერსონაჟების სახელებს / ტრუფალდინო, პანტალონე, სმერალდინა და სხვ./, ეს იმიტომ, რომ გოლდონი ფრთხილად და თანდათანობით ატარებდა იტალიური თეატრის ამ უდიდეს რეფორმას სცენური რეალიზმის დამკვიდრების გზით.

კარლო გოლდონის მოღვაწეობამ იტალიის ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგობა გამოიწვია, რადგან ეს გაბატონებული წოდება ნათლად გრძნობდა, თუ მათთვის რა საშიშროებას წარმოადგენდა გოლდონის რეფორმატორობა. ამ წინააღმდეგობის შედეგი იყო ის, რომ 1761 წელს კარლო გოლდონი იძულებული შეიქმნა საფრანგეთში

ჯადასახლებულიყო. ამის შემდეგ იტალიაში ის აღარ დაბრუნებულა და პარიზში გარდაიცვალა 1793 წელს. მაგრამ გოლდონის რეალისტური დრამატურგიის გაუმჯობესებას და თეატრის რეფორმას ვერავითარმა წინააღმდეგობამ ვერ გაუძლო. გოლდონის სიცოცხლეშივე მისი კომედიები მტკიცედ დამკვიდრდა იტალიის თეატრში, შემდეგ გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებში და იქცა მსოფლიო პროგრესული ლიტერატურული და თეატრალური კულტურის უძვირფასეს განძად.

რევოლუციამდელ რუსეთში კარლო გოლდონის კომედიები ცნობილი იყო ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნემდე. პირველი თარგმანი თარიღდება 1772 წლით. თარგმნილი იყო კომედია "კეთილისმყოფელი ბუზღუნა" მ. ხრაპოვიცკის მიერ. მთელი რიგი ნაწარმოებები ითარგმნა მეცხრამეტე საუკუნეში და შემდგომაც. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კარლო გოლდონის პოპულარობა საბჭოთა კავშირში უფრო გაიზარდა და მისი კომედიები, განსაკუთრებით "ორი ბატონის მსახური" და "სასტუმროს დიასახლისი" მრავალჯერ იყო განსახიერებული არა მარტო რუსულ სცენაზე, არამედ საბჭოთა კავშირის ხალხთა თითქმის ყველა თეატრში.

კარლო გოლდონის დრამატურგიას, ქართული თეატრის სცენაც საკმაოდ იცნობს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ვანო მაჩაბელმა გადმოაკეთა კარლო გოლდონის კომედია "როგორც ქუხს ისე არ წვიმს", რომელიც თბილისის ქართულ თეატრში პირველად წარმოადგინეს 1879 წლის 14 ნოემბერს და შემდეგაც არა ერთხელ იყო წარმოდგენილი. ვალერიან გუნიამ ქართულად თარგმნა კარლო

გოლდონის კომედია " სასტუმროს დიასახლისი". იგივე კომედიის თარ-
გმნა ალექსანდრე ყაზბეგიშვილმა.

შინაარსიანად და მრავალფეროვნად სახიერდება კარლო გოლ-
დონის კომედიები საბჭოთა ქართულ სცენაზე.

გოლდონის კომედია "საპატარძლო აფიშით" / დ. კასრაძის თარ-
გმანი/ წარმოდგენილი იქნა რუსთაველის სახელობის თეატრში
1942-43 წწ. სეზონში. პიესა დადგა რეჟისორმა დ. ალექსიძემ, მხატ-
ვარი – ი. გამრეკელი. " საპატარძლო აფიშით" მთელი რიგი წლების
მანძილზე დიდი წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის თეატრის სცენაზე.
კომედია აღდგენილი იქნა მიმდინარე წელს და სპექტაკლი მიეძღვნა
კარლო გოლდონის დაბადების 250 წლისთავის დღესასწაულს.

რუსთაველის თეატრშივე იყო განხორციელებული გოლდონის კო-
მედიის " ორი ბატონის მსახურის" დადგმა 1945-1946 წწ. სეზონში.
კომედია თარგმნა გ. ფრონისპირელმა. დადგმა ეკუთვნოდა დ. ალექსი-
ძეს, მხატვარი – დ. თავაძე.

" ორი ბატონის მსახური" ამის შემდეგ დადგმული იქნა
აგრეთვე ბათუმის, გ. ერისთავის სახელობის სახელობის გორის თეა-
ტრებში.

გოლდონის კომედია " სასტუმროს დიასახლისი" / ი. გრიშაშვი-
ლის თარგმანით/ 1951-1952 წწ. სეზონში დადგმული იქნა კ. მარჯანი-
შვილის სახელობის თეატრში, სოხუმის თეატრში და ლ. მესხიშვილის
სახელობის ქუთაისის თეატრში.

საბჭოთა ქართულ სცენაზე აგრეთვე განხორციელებული იქნა გოლ-
დონის კომედიის "სახეირო შემთხვევის" დადგმა. პიესა წარმოადგენე

ბათუმის თეატრში / თარგმანი რ. დოლაშვილისა, რეჟისორი და მხატვარი ო. ანდრონიკაშვილი; 1946 წელს/, ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრში / თარგმანი ა. ფალავასი, რეჟისორი დ. ანჯაფარიძე, მხატვარი ა. ბრანოვერი; 1955 წელს/ და გ.ერისთავის სახელობის გორის თეატრში / თარგმანი გ. ლალიძისა, რეჟისორი ვ. ლალიძე, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი; 1955 წელს/.

რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში დადგმული იქნა კარლო გოლდონის შემდეგი კომედიები: " ქალთა ჭორები" /რეჟისორი გ. ტოვსტონოგოვი; 1942 წელს/, " საპატარძლო აფიშით" /რეჟისორი დ. ალექსიძე; 1943 წელს/, " სასტუმროს დიასახლისი" / რეჟისორი გ. ტოვსტონოგოვი; 1946 წელს/ და " ორი ბატონის მსახური" / რეჟისორი დ. ალექსიძე; 1954 წელს/.

მშვიდობის საერთაშორისო საბჭოს დადგენილებით მიმდინარე წლის თებერვალში მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნა კარლო გოლდონის დაბადების 250 წლისთავი. ფართოდ აღინიშნა ეს ისტორიული თარიღი საბჭოთა კავშირში და კერძოდ საბჭოთა საქართველოშიც, რითაც გამოიხატა ღრმა პატივისცემა დიდი რეალისტი დრამატურგის და იტალიური თეატრის რეფორმატორის კარლო გოლდონის სახელისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა

წარმატებით ჩატარდა სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, რომელიც 19 მარტიდან 25 მარტამდე მიმდინარეობდა თბილისში. სამხრეთ-ოსეთის დეკადამ რომელშიც მონაწილეობდნენ კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის ოსური და ქართული კოლექტივები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები და სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მაყურებელთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

დეკადის მიმდინარეობის პერიოდში პარალელურად ხდებოდა შეხვედრები - სამხრეთ-ოსეთის მწერლებთან, მხატვრებთან და დეკადის სხვა მონაწილეებთან, სადაც გარდა საზეიმო მისალმებებისა ქართველი და ოსი ხელოვნების მუშაკები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას და ამავე დროს სახავდნენ ღონისძიებებს ორივე მოძმე ერების ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობისათვის.

დეკადის დამთავრების შემდეგ, 25 მარტს, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ დეკადის მონაწილეებთან მოაწყო შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ თბილისის თეატრის მუშაკები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები და დედაქალაქის საზოგადოებრიობის ფართო წარმომადგენლები. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

–ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ,– განაცხადა ამხ. დ. ანთაძემ,– ქართველი ხალხის მხარდამხარ ყოველდღიური დახმარებით ოსმა ხალხმა დიდ წარმატებას მიაღწია. მას გააჩნია საკმაოდ განვითარებული მწერლობა, მოწინავე სოფლის მეურნეობა და მაღალი კულტურა. სამხრეთ-ოსეთის ნიჭიერმა მწერლებმა, მხატვრებმა და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკებმა, – დაასკვნა ამხ. ანთაძემ,– საქართველოს დედაქალაქში – თბილისში ჩამოიტანეს მდიდარი ხალხური შემოქმედება, მოწინავე მაღალი ჰუმანური იდეებით გამსჭვალული ლიტერატურა, ნიჭიერი ეროვნული თეატრი, საკუთარი სახვითი ხელოვნება და შესანიშნავი მუსიკა.

მოხსენების დაწყებამდე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შალვა დადიანმა, რომელმაც განაცხადა:

– ჩვენს დიად სოციალისტურ კავშირში მეტად ჩინებული და სასარგებლო ტრადიცია დამყარდა. ეს არის ერთი რესპუბლიკის მიერ მეორე რესპუბლიკაში თავის კულტურულ მონაგრის ჩვენება, სადაც წარმოდგენილია ხოლმე მხატვრული მწერლობა, ფერწერის ნიმუშები, ვოკალური და ქორეოგრაფიის მიღწევები და თეატრალური ხელოვნება–დრამატული თეატრების სპექტაკლები. და, აი,– განაგრძო ამხ. დადიანმა,– ასეთი სამკაულებით მოვევლინა ამ ერთი კვირის წინად ჩვენს დედაქალაქში– თბილისში სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი თავისი ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის სახით, რომელსაც მეტად მგრძნობიარედ და გულთბილად შეხვდა ქართველი საზოგადოებრიობა.

ოსეთის დეკადა საუცხოოდ იყო ორგანიზებული, როგორც დრამატული თეატრის, ისე მუსიკისა და ქორეოგრაფიის დარგში, რასაც უთუოდ ხელი შეუწყო აკაკი ხორავას გონივრულმა ხელმძღვანელობამ. მე შემიძლიან ვთქვა მართლაც, რომ დიდი გამომზეურება იყო ეს დეკადა ჩვენი მოძმე ხალხის ოსების მშვენიერი ხელოვნებისა. სულითა და გულით ვუსურვებ ოსებს კიდევ უფრო მეტ წინსვლას.

სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების სადეკადო სპექტაკლების ვ. გაგლოევის — "ზალინა", გ. პლიევის "ჩერმენი", ვ. კანდელაკის — "მაია წყნეთელი" და დ. ცუაევის "ობლების დედა". შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. ო. ეგაძემ. სპექტაკლების მუსიკალურ გაფორმების შესახებ — ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, კომპოზიტორმა — ვ. ცაგარეიშვილმა, ხოლო ქორეოგრაფიაზე რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დიდი გვარამაძემ.

სამივე მომხსენებელმა მაღალი შეფასება მისცეს სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე ჩამოტანილ ნაწარმოებებს. შეეხო რა ამხ. ო. ეგაძე ორი ხალხის ისტორიას, მის ბრძოლას გარეშე და შინა მტრებთან წარსულში, ქართველი და ოსი ხალხის ძმურ მეგობრობას როგორც წარსულში, ისე დღეს, აგრეთვე იმას, თუ როგორ განვითარებას მიაღწია ოსურმა ხელოვნებამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში დასძინა.

— ჩვენ ყველას გვახარებს ოსეთის ნაციონალური თეატრის დიდი წარმატება. ოსეთის მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნიმუშების წარმატება.

მოხსენებების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ – ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დუდარ ხახანოვი, დრამატურგი გ. კანდელაკი, ხელ. დამს. მოღვაწე კ. ვაისერმანი, ხელ. დამს. მოღვაწე ვ. ბუხნიკაშვილი, დრამატურგი დავით ცუაევი / ჩრდილო ოსეთი/, ხელ. დამს. მოღვაწე, პროფ. აკ. ფალავა, სსრ კავშირის სახ. არტისტი აკ. ხორავა, ხელ. დამს. მოღვაწე ბორის გალაევი, თეატრმცოდნე ვასო ცაბაევი და საქ. კ.პ. სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. გრ. სანაკოევი.

– როდესაც ვემზადებოდით თბილისში ჩამოსასვლელად, – განაცხადა ხელ. დამს. მოღვაწე, კომპოზიტორმა დ. ხახანოვმა, – ჩვენ ვცდილობდით შეგვერჩია მდიდარი ოსური მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორიდან საუკეთესო ნიმუშები, რომლებშიც ასახულია ოსი ხალხის ცხოვრება, მისი ეროვნული სახე და მისი გმირული წარსული, ამავე დროს ჩვენ ვცდილობდით თბილსის საზოგადოებრიობის წინაშე წარვმდგარიყავით პროფესიონალურად მაღალი შესრულებით, მთელი თავისი უბრალოებითა და სილამაზით. რამდენად ეს გავამართლეთ ამაზე დღეს აქ გვითხრეს. სჩანს, რომ ჩვენს მიერ დასახული მიზნისათვის მიგვიღწევია. ჩვენ ისიც ვიცით, რომ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. თქვენი თბილი და გულწრფელი სიტყვები ჩვენს კოლექტივს აღაფრთოვანებს შემდგომი წარმატებებისათვის. დიდი მადლობა ასეთი მაღალი და ობიექტური შეფასებისათვის!

დრამატურგმა დ. ცუაევმა მადლობა გადაუხადა რა დედაქალაქის საზოგადოებრიობას სამხრეთის ოსეთის დეკადის მონაწილეთა გულთბილი მიღებისათვის აღნიშნა, რომ ჩრდილო ოსეთის მეგობრები

დიდად აღფრთოვანებული არიან თავიანთი სამხრეთელი მოძმე ოსების წარმატებებით.

ილაპარაკა რა დეკადის მხატვრულმა ხელმძღვანელმა ამხ. აკაკი ხორავამ სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ აღნიშნა, რომ მას გაუადვილა მუშაობა შრომისმოყვარე კოლექტივებმა თავიანთი გულწრფელი და მონდომებული საქმიანობით. მე მათ თავიდანვე მომხიბლეს თავიანთი დაინტერესებით. მემაშინვე ვიგრძენ, რომ საქმე მქონდა ნიჭიერ თეატრალურ კოლექტივთან და ასევე ნიჭიერ მომღერალ და მოცეკვავეებთან.

ამბ საკითხი ისმის – რატომ არის რომ ასეთი წარმატება ხვდა ოსურ დეკადას? ეს იმიტომ, რომ მათ ჩამოიტანეს ნამდვილი ხალხური ხელოვნება, ნამდვილი ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ხელოვნება, მაღალი შესრულებით, ნაციონალური ხასიათებითა და ნაციონალური ელფერით.

თავის სიტყვაში სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვრ. სანაკოევმა მადლობა გადაუხადა მეზობლის ინიციატორებს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას და მის თავმჯდომარეს ამხ. შალვა დადიანს, მომხსენებლებს ამხ. ამხ. ო. ეგაძეს, ც. ჯვარმაძეს და ვ. ცაგარეიშვილს და დეკადის მხატვრულ ხელმძღვანელს აკ. ხორავას. აგრეთვე სიტყვებით გამოსულ ამხანაგებს.

– დღევანდელი დეკადა, – დასძინა ამხ. სანაკოევმა, – სერიოზული გამოცდა იყო ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი ძალებისათვის. ჩვენი დეკადის წარმატებას ხელი შეუწყო ქართველი საზოგადოებრიობის გულწრფელმა და გულითადმა ყურადღებამ და იმ ძმურმა დამოკიდებულებამ, რასაც ქართველი ხალხი იჩენდა და იჩენს ოსი ხალხისადმი.

## საქართველოს თეატრალური საზოგადოების საქმიანობა 1957 წლის პირველ კვარტალში

საქართველოს თეატრალური საზოგადოება, ისე, როგორც წინა წლებში თავის საქმიანობას 1957 წლის პირველ კვარტალშიც განაგრძობდა წინასწარ დასახული გეგმების მიხედვით. პირველ კვარტალში ჩატარებულ ღონისძიებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების მონაწილეობა აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადებში.

როგორც ცნობილი გახდა სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა წარმატებით ჩატარდა თბილისში. 25 მარტს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო შეხვედრა დეკადის მონაწილეებთან.

შემოქმედებითი საღამოების ციკლიდან საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ პირველი შემოქმედებითი საღამო ამ წელში მოუწყო რესპუბლიკის სახალხო არტისტს ვიქტორ ნინიძეს. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. აკ. ხორავამ ვ. ნინიძის შემოქმედებითი მუშაობისა და მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა მწერალმა რ. ქორქიამ. სიტყვებითა და მოხსენებებით გამოვიდნენ ამხ. ალ. ქურციკაშვილი / ჯან. სამინისტრო/, ვლ. ზაქარიაძე / თბილისის ჯანგანი/ გ.მარიაშვილი /სტალინის სახ. ორთქ.ვაგ.შემ. ქარხანა/, ნუცა ჩხეიძე, გ. ვასაძე, /მახარაძე/ რ. სიხორულია, თ. ჭავჭავაძე, პ. კობახიძე, შ. ხაჯალია /ქუთაისი/, ალ. კალანდარიშვილი /გორი/, ა. ფრანგიშვილი / ჭიათურა/, ლ. ესებუა, დ.სლავინი,

მ. მეძმარიაშვილი /თელავი/, თ. პაპიცაშვილი, ბ.ჯამრეკელი, ალ. ვერულეიშვილი /სოხუმი/, დ. ძიგუა, დ. ნეროძე, თ.ბაქრაძე, შ. ნარსია და მ. კიკვაძე /კულტ.სამინისტრო/.

თეატრალურმა საზოგადოებამ შემოქმედებითი საღამო მოუწყო აგრეთვე ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის სცენის ძველ მუშაკს ანა გაფრინდაშვილს /ქუთაისში/. ანა გაფრინდაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა რესპ. და სახ. არტისტმა დოდო ანთაძემ.

შემდეგი შემოქმედებითი საღამო თეატრალურმა საზოგადოებამ მოუწყო რუსთაველის სახ. თეატრის სცენის მექანიკოსს ანდრო კოპალეიშვილს და დეკორატორ-მშენებელ ალექსი პაცარიძეს. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ამავე თეატრის დირექტორმა, ხელ. დამს. მოღვაწემ პ. კანდელაკმა, ხოლო ა. კოპალეიშვილისა და ალ. პაცარიძის მოღვაწეობის შესახებ ამხ. ნ. კრავეიშვილმა წაიკითხა მოხსენება.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ შემოქმედებითი საღამო მოუწყო აგრეთვე მწერალ და დრამატურგ ქალს მარიამ მარიჯანს. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა თამარ ჭავჭავაძემ, ხოლო მარიჯანის სამწერლო და დრამატული შემოქმედებითი მუშაობის შესახებ მოხსენება წაიკითხა მწერალმა როდიონ ქორქიამ. საღამოზე სიტყვებითა და მისალმებებით გამოვიდნენ: რესპ. სახ. არტისტი ცასო აბაშიძე, პოეტი- აკადემიკოსი - ი. გრიშაშვილი და რეჟ. მიხ. გიქიმურელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისპუტების ციკლიდან თეატრალურმა საზოგადოებამ პირველი დისპუტი მიუძღვნა ვ. აბაშიძის სახ. თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის ნამუშევარს. სპეციალურმა ბრიგადამ ხელ. დამ. მოღვაწეს, რეჟისორ გ. ღვინიაშვილს, რესპუბლიკის სახ. არტისტ ლ. ჯვარამაძის, კომპოზიტორ არ. ჩიმაკაძისა და დრამატურგ ს. მთვარაძის შემადგენლობით განიხილა ამ თეატრის სპექტაკლები — "ახალი სიმღერა" და "სამი პატარძალი".

თეატრების ხაზით ჩატარებულ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია მაყურებელთა კონფერენციის მოწყობა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის თეატრის მაყურებლებისათვის. აღნიშნული ღონისძიების ჩატარებისათვის საზოგადოებამ ქუთაისში წინასწარ მიავლინა თეატრმცოდნეები თ. ჯანელიძე და მ. კიკვაძე, რომლებმაც დაათვალიერეს სპექტაკლები — "ყვარყვარე თუთაბერი", "მოკლული მტრედი" და "კოჭლი მეწისქვილე", შემდეგ აღნიშნული სპექტაკლების შესახებ მათ მაყურებლებს გაუზიარეს თავიანთი აზრი.

როგორც ცნობილია საქართველოს თეატრალური საზოგადოება, ხელოვნების სამმართველო და საქ. ალკკ თბილისის კომიტეტი ყოველწლიურად ატარებენ თბილისის თეატრების ახალგაზრდობის დათვალიერებას. მიმდინარე წლის 11 თებერვალს რუსთაველის სახ. თეატრში ჩატარდა ახალგაზრდობის 11 დათვალიერების შედეგებისადმი მიძღვნილი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქ. ალკკ ც.-კის მდივანმა ამხ. თ. ბაღურაშვილმა. მოხსენება წაიკითხა საქ. სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროსმა ამხ. ე. კუპრავამ.

პირველ კვარტალში სარაიონო კულტურის სახლებისა და სასოფლო კლუბებთან არსებული თვითმოქმედი წრეების დასახმარებლად და აგრეთვე ახალგაზრდობის ფესტივალის მზადებასთან დაკავშირებით მივლინებულ იქნენ ბრიგადები შემდეგ რაიონებში:

კაჭრეთისა და დმანისის რაიონებში ხელ.დამს. მოღვაწის ს. ჭელიძის, ლოტბარ დ. ჭკუასელისა და ქორეოგრაფ ა. თათარაძის შემადგენლობით; გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში– რესპ. დამს. არტისტის ა. ყურბანოვისა და ა. ალახვერდოვას შემადგენლობით; გორის რაიონში – რ. ქორქიას, ო. ეგაძის, რეს. დამს. არტ. თ. ბაქრაძისა და რეჟ. მიხ. ვიქიმყრელის შემადგენლობით; ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებში– რეჟ. ო. ალექსიშვილის, კომპოზიტორ მ. ჩირინაშვილის, ქორეოგრაფ მიხ. შუბაშიკელისა და თვაცრმყოლნის ვ. ლოლაძის შემადგენლობით; ბოგდანოვკის, ახალქალაქისა და წალკის რაიონებში– რეჟ. მ. ბაბლოიანის, ლოტბარ მიხ. ყანჩელისა და ქორეოგრაფ მ. სამადაშვილის შემადგენლობით.

აღნიშნული ბრიგადების თვითეული წევრი თავისი პროფესიის მიხედვით თვითმოქმედ წრეებში ატარებდნენ მოხსენებებს შემდეგ თემებზე: 1. " მცირე ფორმის დრამატურგია და თვითმოქმედი დრამატული წრის რეპერტუარის შერჩევა", 2. " რეჟისორის მუშაობა თვითმოქმედ დრამატულ წრეში", 3. " მსახიობის მუშაობა თვითმოქმედ დრამატულ წრეში", 4. " სასცენო მეტყველება თვითმოქმედ დრამატულ წრეში", 5. "თვითმოქმედი წრის ორგანიზაცია და მისი ამოცანები", 6. " თვითმოქმედი მომღერალთა გუნდის ამოცანები ხალხური სიმღერების დამუშავების საქმეში", 7. "თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წრის ამოცანები ხალხური ცეკვების დამუშავების საქმეში" და სხვ.

ამავე პერიოდში თბილისის წარმოება-დაწესებულებებსა და ფაბრიკა-ქარხნებში ხელოვნების სხვადასხვა საკითხებისა და თბილისის თეატრების საუკეთესო სპექტაკლების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებულია შემდეგი მოხსენებები:

"პუშკინი, როგორც დრამატურგი" - რუსთაველის სახ. თეატრის კოლექტივში. მომხსენებელი შალვა დადიანი; "მსახიობის მუშაობა როლზე" - სარეწაო კოოპერაციის კლუბსახლში" მომხს. ხელ. დამ. მოღვაწე, ალ. აბარიანი; "მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლი "მოკვეთილი" ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტ. მუსიკალურ სკოლაში - მომხსენებელი მ. კიკვაძე; "დიდი იტალიელი დრამატურგი კ. გოლდონის ცხოვრება და შემოქმედება" - თბილისის აბრეშუმ-საქსოვ ფაბრიკაში, მომხს. ხელ. დამს. მოღვაწე, პროფ. აკ. ფალავა; "ქართული თეატრის განვითარების გზები" - კრწანისის მეურნეობაში, მომხ. თეატრმცოდნე ელ. კვირკველია; "დიდი იტალიელი დრამატურგის კ. გოლდონის ცხოვრება და შემოქმედება" - /ქუთაისის თეატრში/ მომხსენებელი რეჟ. ს. ვაჩნაძე; გოლდონის შესახებ მოხსენება წაკითხულ იქნა აგრეთვე სტალინის სახ. ორთქ. ვაგ. შემკეთებელი ქარხნის კოლექტივში - მომხს. აკ. ფალავა; "სომხური თეატრის ისტორია" - სარეწაო კოოპერაციის კლუბ. სახლში, მომხსენებელი ალ. აბარიანი; "რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლი" ფილოსოფიის დოქტორი". მაუდ-კამვოლის კომბინატში, - მომხსენებელი თეატრმცოდნე კ. გაწერელია; "სრულიად-რუსეთის თეატრალური საზოგადოების მე-2 პლენუმის შედეგები" - თბილისის თეატრების მუშაკებისათვის, მომხს. სსრ კავშირის სახ. არტისტი ვ. ანჯაფარიძე და სხვა.

# მ ზ ა დ ე ბ ა

## საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისათვის

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმ გაც- ხოველებით ემზადებიან საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნე- ბის დეკადისათვის, რომელიც შესდგება . მოსკოვში.

ეს არის მეორე დეკადა. პირველი დეკადა შედგა ოთხი წლის წინათ. მაშინ საქართველოს ხელოვნებამ და ლიტერატურამ დი- დი წარმატება მოიპოვა მოსკოვში.

ამ ოთხი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა საქართველოში ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში, საქართველოს თეატრის მოღ- ვაწეებმა, მწერლებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა მრავალი ღირს- შესანიშნავი ნაწარმოები შექმნეს და დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ. ახლა, როცა საქართველო ემზადება ახალი დეკადისათვის, წარმოებს ოთხი წლის მანძილზე მიღწეულის შეჯამება, საუკეთესოს ვამორჩევა და საკავშირო ასპარეზზე გასატანად მომზადება.

როგორ ემზადებიან საქართველოს ხელოვნების მოღვაწენი დე- კადისათვის? რით წარსდგებიან ისინი მოსკოვის მომთხოვნი მაყურე- ბლის წინაშე?

დავიწყოთ ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან.

ოპერა მუსიკის ურთულესი დარგია. საოპერო ნაწარმოებში ერთმანეთში უნდა იყოს შერწყმული მუსიკა, ვოკალი, დრამატულობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტიორული ოსტატობა. არ შეიძლება ითქვას, რომ მუსიკალური შემოქმედების ამ მნიშვნელოვან და რთულ დარგში ამ ოცი წლის განმავლობაში ცოტა რამ გაკეთებულიყოს. საყურადღებოა თუ გინდ ის ფაქტი, რომ საქართველოში დაიწერა და დაიდგა ოცამდე ოპერა.
მართალია აღნიშნულ ოპერებიდან ახლა არც ერთი არ არის თბილისის ოპერის თეატრის რეპერტუარში, მაგრამ ამ ფაქტის ახსნა არ შეიძლება მარტო იმით, რომ აღნიშნული ოპერები დაბალი დონისაა. საქმე ის არის, რომ საკმაოდ დიდი ნაწილი ამ ოპერებისა ყურადღების ღირსია, მაგრამ მათ აქვთ დეფექტები, სუსტი მხარეები, ხოლო ამ ნაკლოვანების გამოსწორებაზე არავის უზრუნვია არც საოპერო თეატრს და არც ავტორებს. ეს გაბედულად შეიძლება ითქვას, ა. ანდრიაშვილის " კაკო ყაჩაღის", შ. მშველიძის "ამბავი ტარიელისა", ი. გოკიელის" პატარა კახის" და სხვათა შესახებ.

ამჟამადაც გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ახალი ოპერის შექმნაზე. დ. თორაძე წერს ოპერას " ჩრდილოეთის პატარძალი" /ლიბრეტო ი. ნონეშვილისა/, ა. ბუკია - "არსენას" /ლიბრეტო დ. გაჩეჩილაძისა და ს. ზაქარიაძისა/, ა. ანდრიაშვილი " ლელას" /ლიბრეტო მ. მრევლიშვილისა/, ფ. ღლონტი "მიუსაფარს" /ლიბრეტო ო. ჭელიძისა/, რ. გაბიჩვაძე " ცანიას" /ლიბრეტო ს. ჭელიძისა და დიდიმამიშვილისა/, შ. მშველიძე -"დიდ ოსტატის მარჯვენას" /ლიბრეტო გ. ძიძიშვილისა / და სხვ.

კომპოზიტორთა ასეთი გაცხოველებული მუშაობა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თბილისის საოპერო თეატრი დეკადამდე

შესძლებს ახალი მაღალხარისხოვანი ოპერის ჩვენებას.

რა თქმა უნდა ჩვენ არ ვიცით როდის დამთავრდება და როგორი იქნება ახალი ოპერები. მანამდე საოპერო თეატრმა შეადგინა თავისი საორიენტაციო რეპერტუარი, რომელიც შეიძლება შეიცვალოს, თუ კი ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები აღმოჩნდება. ჯერჯერობით საოპერო თეატრის რეპერტუარი დეკადისათვის ასე გამოიყურება:

1. დ. თორაძე – ბალეტი " გორდა"
2. დ. თორაძე – ბალეტი " მშვიდობისათვის"
3. ა. მაჭავარიანი – ბალეტი " ოტელო"
4. ზ. ფალიაშვილი – ოპერა – "დაისი"
5. პ. ჩაიკოვსკი – ოპერა " ორლეანელი ქალწული"

ამის გარდა თეატრი ახალი რედაქციით ამზადებს შ. მშველიძის ოპერას " ამბავი ტარიელისა" და ა. კერესელიძის " ბაში-აჩუკს".

რეპერტუარში საყურადღებო ადგილი უკავია ბალეტს. ეს იმით აიხსნება, რომ ვ. ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით თბილისში შეიქმნა ძლიერი საბალეტო დასი, რომელმაც ღირსშესანიშნავი დადგმები გვიჩვენა. გარდა ზემოთ დასახელებულისა, ჩვენ გვაქვს ა. ბალანჩივაძის " მთის გული", გ. კილაძის "სინათლე", ს. ცინცაძის " ცისფერი მთის საუნჯე" და სხვ. ეს საშუალებას აძლევს თეატრს შეარჩიოს ბალეტის საუკეთესო რეპერტუარი.

რუსთაველის თეატრს საორიენტაციო სადეკადო რეპერტუარი უკვე შერჩეული აქვს. რეპერტუარშია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სოფოკლე " ოიდიპოს მეფე"
2. ა. პუშკინი " ბორის გოდუნოვი"
3. უ. შექსპირი " ოტელო"
4. ლ. ქიაჩელი " ტარიელ გოლუა"
5. მ. მრევლიშვილი "ზვავი"

რა თქმა უნდა ჯერ ეს სპექტაკლები მოსკოვს ნასაღებად მზად არ არის. " ოიდიპოს მეფე" და "ტარიელ გოლუა" მოითხოვს შეკეთებას და ეს სამუშაო შესრულდება შემოდგომაზე. " ბორის გოდუნოვი" აპრილში უკვე დადგმული იქნება. ახლა დაიდგმება " ოტელო". ამავე სეზონში განხორციელდება " ზვავის" დადგმა. რასაკვირველია, ეს რეპერტუარი საორიენტაციოა. თუ თეატრმა მიიღო ახალი კარგი პიესა და შექმნა ახალი კარგი სპექტაკლი, სადეკადო რეპერტუარში სათანადო ცვლილება იქნება შეტანილი. მაგალითისათვის, შეიძლება დავასახელოთ ვ. გაბისკირიას ახალი პიესა " კურის მთები დაუთოვია", რომელიც დასადგმელად მიიღო რუსთაველის თეატრმა. თეატრი ელის აგრეთვე დრამატურგებისაგან სხვა ახალ პიესებს.

მარჯანიშვილის თეატრს საორიენტაციო სადეკადო რეპერტუარში აქვს შემდეგი სპექტაკლები:

1. ვაჟა-ფშაველა " მოკვეთილი
2. ლ. გოთუა " მეფე ერეკლე"
3. უ. შექსპირი " რიჩარდ მესამე"
4. ტრენევი " ლიუბოვ იაროვაია"

ამას დაემატება ერთი პიესა თანამედროვე თემაზე. თეატრი

მუშაობს რ. თაბუკაშვილის " რაიკომის მდივანზე", რომელიც თეატრის მოთხოვნილებით ავტორმა საფუძვლიანად უნდა გადაამუშაოს. ამასთანავე თეატრმა მიიღო გ. ქელბაქიანის ახალი პიესა მეშახტეთა ცხოვრებიდან, რომელიც აგრეთვე მომზადდება.

"მოკვეთილი" და " მეფე ერეკლე" მარჯანიშვილის თეატრმა უკვე უჩვენა საქ. სსრ კულტურის სამინისტროს სამხატვრო საბჭოს, რომლის დადგენილებით ორივე სპექტაკლი სერიოზულ შესწორებებს მოითხოვს. ეს კორექტივები შეტანილი იქნება სექტემბერ-ოქტომბერში. ახლო ხანში მზად იქნება " რიჩარდ მესამე". აპრილში თეატრი დაიწყებს " ლუბოვ იაროვაიას" დადგმას.

გრიბოედოვის თეატრს შედგენილი აქვს საორიენტაციო სადეკადო რეპერტუარი:

1. ვ. დარასელი "კიკვიძე"
2. ა. ყაზბეგი " ხევის ბერი გოჩა"
3. მ. მრევლიშვილი " "გრიბოედოვი"
4. ლესკოვი " ჯამნიავებელნი"

აქედან ჯერ არც ერთი სპექტაკლი არ არის მზად. "კიკვიძეს" და " ხევის ბერი გოჩას" ახალი დადგმა უნდა. "გრიბოედოვის" 3 მოქმედება მზად არის, ავტორი ამთავრებს მეოთხე მოქმედებას. ლესკოვის პიესის დადგმა დაიწყება მაისში. ამ დღეებში თეატრმა მაყურებელს უჩვენა ალიოშინის პიესა " მარტოდ დარჩა". განსახილველად აქვს თეატრს ლ. კოთუას " თუთის პატარძალი" / ე. ანანიაშვილის თარგმანი/ და ვ. ქელბაქიანის ახალი პიესა. ელის აგრეთვე

რამაშოვის პიესას "განვაში მთაში". სოხუმის დამდგეს თეატრი შეარჩიეს აგრეთვე მეხუთე პიესას.

ამრიგად როგორც ვხედავთ, თბილისის ოთხი თეატრი, რომე-ლთა დეკადაზე გაგზავნა განზრახულია, გულმოდგინედ ემზადება. გულახდილად უნდა ითქვას, რომ მზადების ტემპი დამაკმაყოფი-ლებელი არ არის. განსაკუთრებით ეს შეეხება გრიბოედოვის თეატრს, რომელსაც ჯერ არც ერთი მზა სპექტაკლი არ აქვს.

დეკადამდე დათვლილი დღეები დარჩა. 7-8 თვე ძლივს სას-წრაფით გაივლის. თეატრებს კი ჯერ ერთობ ბევრი სამუშაო აქვთ. საჭიროა უფრო სწრაფი მუშაობა, რათა ყველაფერი უკანასკნელ მო-მენტში არ იქნეს გასაკეთებელი.

დეკადაში მონაწილეობენ აგრეთვე სხვადასხვა ანსამბლები: საქართველოს სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, სახელმწიფო კაპელა, სახელმწიფო კვარტეტი, საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, საქარ-თველოს საესტრადო ორკესტრი.

აღნიშნული შემოქმედებითი კოლექტივების პროგრამები უკვე შედგენილია. შერჩეულია საუკეთესო ნაწარმოებები, რაც ამ ოცი წლის მანძილზე შექმნეს საქართველოს კომპოზიტორებმა. ახალი სიმღერები-სა, საგუნდო და კამერული ნაწარმოებების შესაქმნელად უკანასკნელ წლებში რამდენჯერმე ჩატარდა კონკურსი. საუკეთესო ნაწარმოებები შერჩეულია ანსამბლებისათვის.

დიდი მუშაობა ჩაატარეს მხატვრებმა დეკადაზე დიდი მხატ-ვრული გამოფენის მოსაწყობად. გარდა იმ ნაწარმოებებისა, რაც ამ ოცი წლის განმავლობაში შეიქმნა, 1956 წლიდან 136 მხატვარი მუშაობ

ახალი ნაწარმოებების შექმნაზე, რაც უსათუოდ განსაზღვრებს გამოფენას.

გარდა პროფესიონალებისა, დეკადაში მონაწილეობას მიიღებენ ხალხური შემოქმედების, მხატვრული თვითმოქმედების საუკეთესო წარმომადგენლები. ცალკე გამოფენად იქნება წარმოდგენილი დეკადამდე დეკორაციულ- გამოყენებითი ნაწარმოებები.

გარდა ამისა კიდევ დიდი სამუშაოა შესასრულებელი. ყველა თეატრი მოაწყობს თავისი შემოქმედებითი გზის ამსახველ გამოფენას. ეს გამოფენები უკვე მზად იქნება სეზონის დამდეგს.

დიდი ყურადღება ექცევა რეკლამას. გამოყოფილია მხატვარ-გრაფიკოსთა დიდი ჯგუფი, რომელიც ამზადებს რეკლამას. სათანადო მაკეტები მზად იქნება მაის- ივნისში.

მზადდება ლიტერატურა, რომელმაც უნდა ასახოს ჩვენი თეატრების შემოქმედებითი გზა. იწერება მონოგრაფიები როგორც თეატრებზე, ისე ცალკე შემოქმედებით მუშაკებზე. გამოვა ლიტერატურული პორტრეტები, მონოგრაფიები რეჟისორებზე, მსახიობებზე, მხატვრებზე, კომპოზიტორებზე. ყველა ეს მონოგრაფია უხვად იქნება ილუსტრირებული მხატვრულად შესრულებული სურათებით. ყველა სპექტაკლზე მზადდება დასურათებული დაწვრილებითი ლიბრეტო, რომელიც ქართული ენის არ მცოდნე მაყურებელს საშუალებას მისცემს გაეცნოს სპექტაკლის შინაარსს.

დეკადა დასრულდება დასკვნითი კონცერტით. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ დასკვნითი კონცერტის სცენარის შედგენა

მიანდო ლ. გოთუას, ს. ჩიქოვანს, და ს. ზაქარიაძეს. მათ მიერ შედგენილმა სცენარმა ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნილება, რომელსაც ჩვენ ვუდგენთ დასკვნით კონცერტს. ეს საკითხი ჯერაც არ არის მოგვარებული. საჭიროა ზომების მიღება, რომ დასკვნითი კონცერტის ლიბრეტო დროულად იქნეს შედგენილი, გაფორმებული, მომზადებული. დასკვნით კონცერტზე დიდად არის დამოკიდებული დეკადის საერთო წარმატების ბედი.

დეკადამდე დარჩა ორი თვე. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. შეუსვენებლივ ჩქარი ტემპით უნდა ვიმუშაოთ, რომ დეკადას მომზადებული შევხვდეთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. ამიტომ იგი უნდა მოამზადონ არა მარტო მათ, ვინც მოსკოვს გაემგზავრება ჩვენი ქვეყნის ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლებად, არამედ საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა მუშაკმა, მთელმა ხალხმა. საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში ქართული ხალხის ეროვნული საქმეა, ჩვენი ხალხის დიდებისა და სახელის საქმეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის თეატრალური ახალგაზრდობის დათვალიერება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, ალკკ თბილისის კომიტეტმა, თეატრალურმა საზოგადოებამ და ხელოვნების მუშაკთა სახლმა მიმდინარე წელს მეორედ მოაწყო თბილისის თეატრალური ახალგაზრდობის დათვალიერება. დათვალიერების უკეთ ჩატარების მიზნით ორგკომიტეტმა გამოყო სამი კომისია. პირველ კომისიაში, რომელსაც ევალებოდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის და ფილარმონიის ახალგაზრდობის დათვალიერება, შედიოდნენ: ღვინიაშვილი გ. /თავმჯდომარე/, გელდიაშვილი ე./მდივანი/ ღვინიაშვილი მ. გვარამაძე ლ. კოსტენინა ე. სავიცკი, ე. დავითაშვილი, მ. ნაისძე ს. და კობახიძე პ.

მეორე კომისიაში, რომლის ობიექტებს წარმოადგენდა, რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობის, გრიბოედოვის სახელობის, შაუმიანის სახელობის თეატრები, შედიოდნენ: თავაძე ი. /თავმჯდომარე/ ჩხეიძე მ. /მდივანი/, გიჟიმყრელი მ. გოძიაშვილი ნ. გურაბანიძე ნ. ჯანელიძე თ. და თოფურიძე ე.

მესამე კომისიაში, რომელმაც დაათვალიერა საბავშვო თეატრები, შედიოდნენ: ჩხარტიშვილი ა. /თავმჯდომარე/, კოპლატაძე ლ. /მდივანი/, დავითაია ე. კიკნაძე ვ. ხისორიეა რ. ლაფიაშვილი ფ. და ცირაძე გულ. ზემოთ ჩამოთვლილმა კომისიის წევრებმა ჩაატარეს

ნაყოფიერი მუშაობა. ობიექტურად შეაფასეს დათვალიერებაში მონაწილე ახალგაზრდათა ნამუშევარი.

ოპერისა და ბალეტის თეატრში კომისიამ ნახა ორი სპექტაკლი: "ფაუსტი" და "კარმენი" და კონცერტი. საბალეტო დასმა უჩვენა ს. ცინცაძის ბალეტი " ცისფერი მთის საიდუმლო". "ფაუსტში" კომისიამ მოისმინა მარჯანიძე - ხვანიშვილი, მეფისტოფელი -შუშანია, ფაუსტი- თორელი, ზიბელი- მურადოვა.

" კარმენში" კომისიამ დაათვალიერა კარმენი - მალიშევა, მიქაელა - ამირანაშვილი და ხოზე - ანჯაფარიძე.

კომისიამ აღნიშნა ანჯაფარიძისა და შუშანიას საინტერესო გააზრებული სახეები, რომელსაც ხელს უწყობს კარგი ვოკალური და სცენური მონაცემები. ასევე კარგ იმედებს იძლევიან ახალგაზრდა მომღერლები: თორელი, მალიშევა და მურადოვა, კომისიის აზრით ხვანიშვილი საჭიროებს დაძაბულ მუშაობას რათა მხარში ამოუდგეს თეატრის წამყვან ძალებს.

კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ: ნ. ცულუში, ო.კუზნეცოვა, ა. კაციშვილი, ა. ჯავუა, ნ. ანდღულაძე და ა.კანდელაკი, ჩატარდა არადამაკმაყოფილებლად, ამიტომაც კომისიამ ვერ შესძლო მსჯელობა მონაწილეებზე.

ს. ცინცაძის ბალეტი " ცისფერი მთის საიდუმლო" აშკარად მოწმობს ჩვენი საბალეტო ახალგაზრდობის შემოქმედებითს ზრდას.

მონაწილეთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ე. მითაიშვილი, ე. ვუნაშვილი - ე. ჭაბუკიანი, კ. ძნელაძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. მონავარდიშვილი, ს. ბურავლიოვა, ა. ძნელაძე, ნ.ბედალაძე, ვ. ცაბასმელაშვილი, განსაკუთრებით საბალეტო დასმა გამოირჩინა თავი თუნდაც იმით, რომ ეს ახალი ბალეტი თითქმის მთლიანად ახალგაზრდობაზეა დამყარებული.

გასულ დათვალიერებასთან შედარებით რუსთაველის თეატრი ბევრად უფრო მომზადებული წარსდგა კომისიის წინაშე, მაგრამ - როგორც თითქმის ყველგან არც აქ მოუმზადებია რომელიმე ახალგაზრდას რაიმე სასურველი როლი. ისე, რომ აქაც მსახიობებმა თავიანთი ძველი რეპერტუარი წარმოადგინეს. კომისიამ იმსჯელა რა რუსთაველის სახელობის თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა დათვალიერების შედეგებზე აღნიშნა, რომ ამ თეატრში თავმოყრილია ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომლებიც მხარს უსწორებენ უფროსი თაობის სცენის ოსტატებს. მაღალი შეფასება დაიმსახურეს:

ნ. მიქელაძემ / ტატრიან "რღვევა"/, ე. დუგლაძემ / ქეთო " ხალისიანი მეგობრები"/, მ. მიქელაძემ / მხევალი "ოიდიპოს მეფე"/, ნ. ფალიაშვილმა / ემილია " ოტელო"/, თ. ქვარიანმა / მილანესი "ესპანელი მღვდელი"/, რ. ჩხიკვაძემ / თამარ " ხალისიანი მეგობრები"/, ღ. ტყავაძემ / დაფინო " ტარიელ გოლუა"/, ღ. ღამბაშიძემ / სალომე "ჩვენებურები"/, ვ. საღარაძემ / ვაზრო " ვლახის ნაამბობი"/. კომისიამ აღნიშნა ნიჭიერი მსახიობის კ. საკანდელიძის ნამუშევრები და აგრეთვე ჯ. ძიძავას მიერ შექმნილი ეპიზოდური სახეები.

მაგრამ ახალგაზრდობას გააჩნია ნაკლოვანი მხარეებიც, ყველა სახე არ არის სრულყოფილად გახსნილი, აკლია შინაგანი სითბო და ემოციურობა, მაგალითად, სუსტი შთაბეჭდილება დასტოვეს მსახიობებმა

თ. ქვარიანმა /ლეო "საქმიანი კაცი"/ ლ. ღამბაშიძემ /ვარიკო "ღესასწაული საკრეულაში"/, ე. ღუგლაძემ /ქსენია "ჩრდილებში"/ ერთფეროვნება ეტყობა რ. ჩხიკვაძისა და გ. საღარაძის შემოქმედებას და სხვა. ლ. ჩხეიძე, ი. უჩანეიშვილი, ი. მაღალაშვილი და ე. ელოშვილი, იმდენად უმნიშვნელო როლებით წარსდგნენ კომისიის წინაშე, რომ მათზე მსჯელობა შეუძლებელი იყო.

საკმაოდ უხარისხოდ ჩაატარა დათვალიერება მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. მათ არც რაიმე როლები მოუმზადებიათ და არც სპექტაკლი, ამიტომაც კომისიას ძალზე გაუჭირდა ზოგიერთ მათგანზე მსჯელობა. ამავე დროს დათვალიერებაში მონაწილე მსახიობთაგან უმრავლესობა მცაცვარიშვენი არიან. ყველაზე მეტად კომისიის ყურადღება მიიპყრო თ. სხირტლაძემ, როგორც გულისყურიანმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა, ის თვით ეპიზოდებსაც დიდი ინტერესით ამუშავებს და მოწონებას იმსახურებს. ასეთივე შთაბეჭდილება მოახდინა კომისიაზე თ. მაისურაძემ.

გ. გეწოვანს ყველაზე მეტად ეტყობა წარსულ დათვალიერებასთან შედარებით ზრდა და იმედია ამ მხრივ კიდევ უფრო გაიზრდება. ლ. მაცაბერიძე და ვ. ბაქრაძე სუსტად წარსდგნენ კომისიის წინაშე, შეეძლოთ კი მეტად გამოეჩინათ თავი;

ე. ახლამაზაშვილის "პიგმალიონში" მისის ჰიგინსის კარგი სახე შექმნა.

გ. ცაგარეიშვილი და კ. მჟავანაძე ისეთი უმნიშვნელო როლებით წარსდგნენ, რომ მათზე ლაპარაკიც შეუძლებელი იყო.

ნ. მგალობლიშვილს შეუძლია მკვეთრი გროტესკული სახეების

შექმნა, მაგრამ წარმოდგენილ როლებში /ფრედ პილი და აბელი/ თავი ვერ გამოიჩინა. ასევე ლ. ანთაძემ ჯერ ვერ შესძლო თავისი შესაძლებლობის გამოჩენა.

დათვალიერებაზე მკრთალად წარსდგა გ. გოგუა.

მეველაძემ წარმოადგინა ორი როლი, შოფერი "რაიკომის მდივანი" და ბერია — "რას იტყვის ხალხი". ზომიერად და სიყალბის გარეშე მიჰყავს თავისი როლები. მხოლოდ მას ახასიათებს ინტონაციური ერთფეროვნება, რაც იწვევს როლების ერთფეროვნებას.

გ. თოლორაია ერთ როლში წარმოსდგა, მაგრამ უკვე იგრძნობა, რომ მას აქვს აქტიორული ტექნიკის აუცილებელი ელემენტები.

გრიბოედოვის სახ. თეატრში კომისიამ ნახა ორი სპექტაკლი "პირველი გაზაფხული" და "ბრალდება". ამ სპექტაკლებში დათვალიერდა ოთხი მსახიობი: ნ. ტრითანოვი, პ. ლუსპეკაევი, ი. კირილოვა და ბონდარენკო. კომისიის აზრით პ. ლუსპეკაევი ნიჭიერი მსახიობია, მაგრამ მან ამ ორ სპექტაკლში ვერ შესძლო სრული გარდასახვა. ნ. ტრითანოვი შრომისმოყვარე და მზარდი მსახიობია, ხოლო ი. კირილოვა წინა დათვალიერებაში უფრო საინტერესო იყო, ვიდრე მიმდინარეში, მას რაღაც მოდუნება ეტყობა. მსახიობი ბონდარენკო ყველა როლში ერთფეროვანია.

შაუმიანის სახელობის სომხურმა დრამამ ძლივს ძლივობით მოაწყო ერთი სპექტაკლის "სისხლიანი უდაბნოს" ჩვენება, რომელშიც ოთხმა ახალგაზრდამ უჩვენა თავისი შესაძლებლობა; ესენი იყვნენ: მ. შავერდიანი, ს. ევიზარიანი, გ. ჩოფიკიანი და გ. ელიბეკიანი. თითო როლით განა შეეძლო კომისიას რაიმე ეთქვა მათ შესახებ? აქედან ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეატრმა ყურადღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მიაქცია ამ მნიშვნელოვან საქმეს და არ იზრუნა თავისი ახალგაზრდობის გაზრდისა და გამოჩენისათვის. თვით ეს ერთი სპექტაკლიც კი კომისიამ ძლივს ვაი-ვაგლახით გამოგლიჯა თეატრს.

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი მიმდინარე დათვალიერებისათვის სერიოზულად მოემზადა. თეატრმა კომისიას აჩვენა ახალგაზრდობა, რომლითაც ეს უკანასკნელი ორი წლის-ნადია შეავსო თავისი დასი, ესენი არიან ძირითადში კონსერვატორიის და თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები: ო. ბახტაძე, ნ. ბერძენიშვილი, ე. ჯურაშვილი, ზ. კახიანი, ა. მამუკელაშვილი, თ. მერკვილაძე, შ. ნაცვლიშვილი, მ. სურგულაძე, და ო. ხელაშვილი. წარმოდგენილი იყო შემდეგი სპექტაკლები: "სიყვარულის კვანძი", "ლალი ქალი", "საყვარელი დიშვილი", "პერიკოლა", "რაც ვინახავს, ველარ ნახავს და "ჭრიჭინა".

საერთო მოწონება დაიმსახურეს ო. ბახტაძემ, ნ. ბერძენიშვილმა, ზ. კახიანმა, თ. მერკვილაძემ, შ. ნაცვლიშვილმა და სხვ. აღნიშნული მსახიობები უთუოდ საიმედო ძალას წარმოადგენენ თეატრში. კომისიამ აღნიშნა, რომ მსახიობ ე. ჯურაშვილი, რომელიც ფლობს კარგ ვოკალურ მონაცემებს აკლია მსახიობური ოსტატობა. ასევეა ა. მამუკელაშვილიც. მ. სურგულაძეს კი, რომელიც კარგად არის დაუფლებული სცენური ოსტატობის ხერხებს, საჭიროებს ხმის დამუშავებას. გაუბედაობა ატყვია ო. ხელაშვილის მიერ შექმნილ სახეებს.

საერთოდ კომისიამ დადებითი შეფასება მისცა ახალგაზრდობის პროფესიულ მომზადებას. კომისიამ აგრეთვე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეს ახალგაზრდები ზომაზე მეტად არიან გადატვირთულნი ნო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიერთი მათგანი თვეში 25 სპექტაკლს თამაშობს. ასეთი გადატვირთვა ახალგაზრდა მომღერლისათვის სახიფათოა.

კომისიის აზრით, მუსკომედიის თეატრის ეს ახალგაზრდობა უსათუოდ ის საიმედო ძალაა, რომელსაც დიდი და სერიოზული მუშაობით შეუძლია თეატრს კარგი მომავალი შეუქმნას, მისცეს მას მაღალპროფესიული სახე.

მიმდინარე წელს ფილარმონიის ხელმძღვანელობა ძალზე უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ახალგაზრდობის დათვალიერების საკითხს. და ახალგაზრდობა დათვალიერებაზე წარსდგნენ თავისი ყოველდღიური რეპერტუარით. კომისიამ მოახერხა ორი კონცერტის მოსმენა და შემდეგი შემსრულებლების დათვალიერება: კოჯუა, ასლამაზოვა, ნიკოლაიშვილი, აფხაზავა, ცხომელიძე, ციცქიშვილი და კონფერანსიები კასრაძე და ბაქრაძე.

დადებითი შეფასება დაიმსახურეს: ცხომელიძემ, კოჯუამ, კასრაძემ და ბაქრაძემ, კომისიამ აღნიშნა ახალგაზრდა მსახიობების ასლამაზოვას აფხაზავასი და ნიკოლაიშვილის სუსტი რეპერტუარი და დაბალი შესრულების ტექნიკა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელობამ კომისიას წარმოუდგინა 10 სპექტაკლი. დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო 18 ახალგაზრდამ სამმა რეჟისორმა და ერთმა მხატვარმა.

მსახიობთაგან კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს: რ. თავართქილაძემ, გ. სიხარულიძემ, და ე. გაგლოშვილმა. ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ამ ამხანაგებს დათვალიერებაში ისეთი როლები ჰქონდათ გამოტანილი, რომლის საშუალებით შესაძლებელი იყო

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მათში სრული წარმოდგენის შექმნა. მათ მიერ შექმნილ სახეებს ეტყობა შემოქმედებითი ხედვა და სერიოზული მიდგომა განსახიერებელი გმირებისადმი.

კომისიამ დადებითი შეფასება მისცა რეჟისორების კ. სურმავას, ჭარხალაშვილის და ჯალიაშვილის ნამუშევარს. ხოლო რეჟისორი ნ. ბაცისკაიას სპექტაკლი "წითელი ყელსახვევი" არ იყო დამაკმაყოფილებელი, იგი კომისიამ მიიჩნია არასწორად გაგებულ და გახსნილ სპექტაკლად.

მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში კომისიამ დაათვალიერა შვიდი სპექტაკლი.

მსახიობთაგან ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსახიობმა ე. ევანგულიძემ. მის მიერ განსახიერებული სახეები ძალზე საყურადღებონი იყვნენ თავიანთი შინაგანი სიმართლით. კომისიის აზრით წარსულ დათვალიერებასთან შედარებით გაიზარდნენ მსახიობები ვანინა და სიმკოვიჩი.

მიმდინარე დათვალიერებაშიც კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს მხატვრებმა ნოდიამ და სამსონიძემ. მათ შესძლეს თავიანთ გაფორმებებში გამოეძებნათ მასალის შეგრძნება და ხელის გამოყენება იმგვარად, რომ მსახიობებს თავისუფალი მოქმედების უნარი ქონდეს.

კომისიამ რეჟისორ რ. მაფთოშვილის სპექტაკლი "მეღოლის ბელი" კარგად შეაფასა.

## გორის თეატრის სპექტაკლებზე

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ა.წ. თებერვალში გორის რაიონში მიავლინა ბრიგადა მწერალ როდიონ ქორქიას, რესპ. დამსახურებული არტისტის თამარ ბაქრაძის, ოთარ ეგაძის და რეჟისორ მიხ. გიქიმურელის შემადგენლობით. ბრიგადამ ნახა გორის გიორგი ერისთავის სახ. თეატრის ოთხი სპექტაკლი: ლ. გოთუას " თეთრი პატარძალი", მიხ. ჯავახიშვილის " არსენა მარაბდელი" /ინსცენირება თ. ჯავახიშვილისა და გ. ნახუცრიშვილის/ მ. გორკის "ზიკოვები" და გოლდონის "ორი ბატონის მსახური".

მოკლედ შევჩერდეთ ზემოთ დასახელებულ პიესებზე. " თეთრი პატარძალი" სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულის ნ. რუსიაშვილის სადიპლომო სპექტაკლია. დიპლომანტს უცდია სპექტაკლისათვის ერთგვარი ეპიური სახე მიეცა, ეს იგრძნობა თუნდაც შუქ-სინათლეთა გამოყენებაში მხცოვან დავით გოგრიჭიანის სტვირითა და გუდანაბადით გამოჩენილი იმპოზანტური ფიგურის. პირველსავე გამოჩენაში. ასევე ღრმა სიდინჯითა და დარბაისლობით მიყავს როლი შალვა ხერხეულიძეს... მაყურებელთა ყურადღებას იპყრობს მსახიობები ნ. ჩალდასტანიშვილი / ალათი/ ვ. ცხვარიაშვილი/ ამბროლა/ ივ. ოსაძე /ქარუხა/.

თეიმურაზ ლორთქიფანიძის მიერ დადგმული "არსენა მარაბდელი" გამოირჩევა კარგი რეჟისორული გააზრებით. მსახიობთა შესრულების ანსამბლიურობით. გორის თეატრის სპექტაკლში ნაჩვენებია ის გარემო, სადაც წარმოიშვა არსენა. სპექტაკლში ე. არაქელოვის მიერ შექმნილი სულით ნათელი და მასთანავე უაღრესად დინჯ,

მიწიერ ღვთისავარიდან სვეასვლა დაცაბაძე ესოდენ კოლორიტულად დახატული ა. კალანდარიშვილის მიერ, თ. ერისთავის გულმართალი მავდანა, დ. ცხვარიაშვილის ერთგული კირაირა, სტ. გრიქუროვის დალოცვილი და ხელგაშლილი მიმხედომი და შეუცდენი ლოპიანა და სხვები. ამიტომაც გ. ნაგრობაშვილის ომახიანი არსენა მსახიობისა და რეჟისორის სწორი მიდგომის შედეგად არ გამოიყურება პედესტალზე შემდგარ პიროვნებად. სპექტაკლის ბუნებრივსა და რომანტიკულ ატმოსფეროს შექმნას დიდად შეუწყო ხელი ასკურავას მხატვრულმა გაფორმებამ. დანარჩენ მომქმედ პირებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ნ. ბერობაშვილის მიერ რელიეფურად გამოკვეთილი ხორეშანი, ო. დათუნაშვილის როსტომი, გ. ბახიაშვილის როსტია, გ. ცოცქიშვილის სულხანი, ე. კახნიაშვილის ლაშქარა და გ. ლენისაშვილის ესოდენ შენიღბული და თითქოს მიმზიდველი ფარსადან ბოლბისხეველი. არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს გ. აბრამიშვილის უტყუარი აქტიორული გამარჯვება დალი-ჰასანის როლში. ახალი გამოვლინებული შესაძლებლობანი გვიჩვენა. მალვა ხერხეულიძეს ბიკოვი შევა იმ სახეთა წყებაში, რომლებიც ცხადათ მეტყველად გვიჩვენებენ რუსულ თეატრალურ კულტურასა და ქართულ თეატრის ისტორიულ მეგობრობის ტრადიციების გაგრძელებას არა იუბილარულ, სახეობას სიტყვებში, არამედ უშუალო შემოქმედებაში.

" ბიკოვები" ღრმაშინაარსიანი და რთული პიესაა და თვით ის ფაქტი, რომ ასეთ რთულ მასალაზე გორის თეატრის კოლექტივმა ახალი გამოუვლინებელი შესაძლებლობანი გვიჩვენა მალვა ხერხეულიძეს ბიკოვი მსახიობის დიაპაზონის ზრდაზე მეტყველებს.

სახის შინაგანი განჭვრეტა და სწორი ტაქტი იგრძნობა რუსუდან ლორთქიფანიძის სოფიოში, ალექსანდრე კალანდარიშვილის /მურაცო-ვი/ სცენურ მოქმედებაში იგრძნობა ხასიათიდან გამომდინარე დე-ტალების დახვეწილობა და უტყუარი პროფესიონალიზმი.

ძალიან ძნელია ვ. კახნიაშვილი ლაშქარას შემდეგ გორკის პიესაში წარმოიდგინოთ და სხვა სპექტაკლში ესოდენ დამახსოვ-რებული მსახიობი ეხლაც გაჯერებთ, რომ იგი სხვა პიროვნებაა- ტრა-კანოვი. მ. ბახტაძე ქმნის ცელოვანიევას ცოცხალ სახეს.

ვ. ციცქიშვილის სევერინი კიდევ ერთხელ იმას ადასტურებს, რომ მსახიობის პროფესიული წრე შეუძლებელია კლასიკურ რეპერტუა-რის გარეშე. ვლ. ცხვარიაშვილის მიხაილო უფრო მოიგებდა თუ კი ცალკეული წვრილმანი დეტალები სახის გამჭოლ მოქმედებასთან უფ-რო დაკავშირებულიყო.

„ზიკოვების" დადგმა განახორციელა რეჟისორმა სიკო ჟაჩნაძემ. დადგმაში იგრძნობა რეჟისორული კულტურა, ბეჯითი ხელი და ალღო. ყოველივე ამან შემსრულებლებს მოქმედების სწორი საფუძველი შეუ-ქმნა. ამასვე ხელი შეუწყო ი. შტენბერგის მხატვრულმა გემოვნე-ბამ. იმისათვის, რომ კოლექტივზე შეძლებისდაგვარად უფრო სრული წარმოდგენა გვქონდეს უნდა აღვნიშნოთ ნ. ზალდასტანიშვილი -სა-ხასიათო ნიჭით დაჯილდოებული მსახიობი.

საინტერესო მსახიობი ვ. ბერუაშვილი, მზარდი მსახიობი ვლ. მა-სალიშვილი, ნიჭიერი ახალგაზრდა რ. ტაბაძე. ასევე უნდა აღვნიშნოთ ვ. აბრამიშვილი ამჯერად როგორც რეჟისორი, როგორც ხალისიან სპე-ქტაკლის "ორი ბატონის მსახურის" დამდგმელი. ეს სპექტაკლი თეა-ტრის რეპერტუარის აქტივში უნდა დარჩეს.

ნაყოფიერად მუშაობენ მხატვარი ვ. არჩუაძე და კომპოზიტორი ლ. ყარანგოზიშვილი.

# ვიქტორ ნინიძის შემოქმედებითი საღამო

4 თებერვალს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ რუსთაველის სახ. თეატრში მოაწყო ვიქტორ ნინიძის სასცენო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

ვ. ნინიძე ეკუთვნის ხელოვნების მოღვაწეთა იმ პლეადას, რომელთაც მთელი თავისი ძალღონე მოახმარეს ქართული თეატრის განვითარებისა და მისი გაფურჩქვნის საქმეს. ღვაწლმოსილმა ხელოვანმა, მსახიობმა, რეჟისორმა და თეატრის შესანიშნავმა ორგანიზატორმა, ვ. ნინიძემ სასცენო მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე მეტად რთული და ამავე დროს ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა განვლო.

ვ. ნინიძე დაიბადა 1888 წელს გურიაში, მახარაძის /მაშინდელ ოზურგეთის/ რაიონ სოფელ ასკანაში. ღარიბი გლეხის ოჯახში. აქვე მიიღო მან დაწყებითი განათლება. პატარობიდანვე შთაენერგა ვ. ნინიძეს თეატრისადმი სიყვარული და 1904-1905 წლებში იგი ადგენს სოფლის ახალგაზრდობისაგან სცენისმოყვარეთა დრამატულ წრეს, რომელიც მომსახურებას უწევდა ოზურგეთის ახლომახლო სოფლების მოსახლეობას.

ამ დროისათვის ვიქტორ ნინიძე გარდა თეატრალური მოღვაწეობისა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში. მან 1905 წლის ოქტომბერში აქტიური მონაწილეობა მიიღო ნასაკირალზე ე.წ. პლასტუნებზე თავდასხმაში და სხვ. ამავე დროს ვიქტორ ნინიძის სახლში თვეობით ინახებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გურიის კომიტეტის არალეგალური სტამბა, რომელიც ბეჭდავდ

პროკლამაციებს და ვ. ნინიძე სტამბის მუშებთან ერთად ავრცელებდა პროკლამაციებს ხალხში.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ვ. ნინიძემ გურია დატოვა და ქიათურაში გადავიდა. თეატრალური ხელოვნებით გატაცებული ვ. ნინიძე აქ იწყებს მუშაობას ცნობილი რეჟისორის და მსახიობის ვალერიან შალიკაშვილის ხელმძღვანელობით, სადაც დაჰყო 1907 წლამდე.

1908 წელს ვ. ნინიძე ჩამოდის თბილისში და მუშაობას იწყებს რკინიგზაზე გადამწერის თანამდებობაზე, ხოლო სულ მალე, 1909 წელში იგი შედის მსახიობად ქართულ სახალხო თეატრში, სადაც ეწევა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

დიდი სიხარულით შეხვდა ვ. ნინიძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. მან გაათკეცებული ენერგიით მოჰკიდა ხელი ქართული თეატრის აღორძინების საქმეს. ვ. ნინიძე 1921–1922 წლებში კვლავ უბრუნდება მშობლიურ კუთხეს – გურიას, სადაც იგი აარსებს ერთ-ერთ პირველ საბჭოთა თეატრს.

1922 წელს ვ. ნინიძე ბრუნდება თბილისში და განაგრძობს მისთვის საყვარელ შემოქმედებით მუშაობას სახალხო სახლში, ხოლო პარალელურად განაგრძობს სამსახურს რკინიგზაში. 1924 წლიდან სახალხო თეატრის დასის დაშლის შემდეგ ვ. ნინიძე პლეხანოვის კლუბში აყალიბებს მუშათა-თვითმოქმედ დრამატულ წრეს და აგრეთვე ხელმძღვანელობს ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბს.

1928 წლიდან ვ. ნინიძე სათავეში უდგება თბილისის სანიტარული კულტურის თეატრს, საიდანაც იწყება მისი მრავალმხრივი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, როგორც რეჟისორის,

მსახიობის და თეატრის ორგანიზატორის. სანკულტურის თეატრი 1936 წლამდე ითვლებოდა მოძრავ თეატრად, რომელმაც შემოიარა და მომსახურება გაუწია საქართველოს თითქმის ყველა ქალაქისა და რაიონის მოსახლეობას, ხოლო თბილისში თეატრი წარმოდგენებს მართავდა მუშათა კლუბებში. შეჰქონდა სანიტარული განათლება და ეწეოდა აგრეთვე ქართული, მოძმე ერებისა და მსოფლიო დრამატურგიის ნიმუშების პოპულარიზაციას მოსახლეობაში. თუ "პლატონ კრეჩეტი", აღნიშნავდა პრესა,- საყურადღებოა იმით, რომ მასში ნაჩვენებია საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვა მედიცინის დარგის მუშაკებზე, "თეთრხალათიანებში" პირიქით, დახასიათებულია ის სულისშემხუთველი ატმოსფერო, რომელშიაც მოღვაწეობა უხდება მედიცინის პატიოსან მუშაკებს კაპიტალისტურ ქვეყნებში".

სანიტარული კულტურის თეატრის სპექტაკლებს ყოველთვის ახასიათებდა ანსამბლურობა, კარგად გამოკვეთილი სცენური სახეები, ცხადია, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ თეატრის ხელმძღვანელს ვიქტორ ნინიძეს, როგორც რეჟისორს, .. რომლის მიერაც განხორციელებულია ამ თეატრის დადგმათა უმრავლესობა. ამიტომაც 1939 წლიდან სათანადო ორგანოების დადგენილებით თეატრი გადაკეთებული იქნა მეორე კატეგორიის რესპუბლიკურ თეატრად და მიეცა მას თბილისში მუდმივი შენობა.

ვ. ნინიძეს, როგორც რეჟისორს, თავის სასცენო მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე განხორციელებული აქვს 140-ზე მეტი დადგმა, მათ შორის 85 პიესა დადგმული აქვს სანიტარული კულტურის თეატრში, ხოლო როგორც მსახიობს შესრულებული აქვს 200-მდე სხვადასხვა ხასიათის როლი, მათ შორის აღსანიშნავია დათია- "ქრისტინეში",

ჩიქოვანი – " ვეგეჭკორში", ნიკიფორე ადაკუტა – "სტუმარ-მასპინ-ძელში", ნესტორი – " უნიადაგონში", ბოქაული – "მსხვერპლში", სემ-ლიანიკა – " რევიზორში", ვიშნევსკი – " შემოსავლიან ადგილში", ვა-ლერი – "ტარტიუფში", დარისპანი – " დარისპანის გასაჭირში", ბე-რესტი – " პლატონ კრეჩეტში" და მრავალი სხვა.

ვ. ნინიძის დადგმებიდან აღსანიშნავია: ტრ. რამიშვილის " სტუმარ-მასპინძლობა", ვ. შალიკაშვილის " უნიადაგონი", კინსგ-ლეის– "თეთრხალათიანები", კორნეიჩუკის " პლატონ კრეჩეტი", ქორა-რიანის – " ბრმა მუსიკოსი", გორჩაკოვის –" ერთი ოჯახის ისტორია", ბერძენიშვილის – " ოქროს ვერძი", ჭუბაბრიას – " " კარგი ამხა-ნაგი", შ. ნარსიას– "გორჩა მინდიაური" და სხვ.

ვ. ნინიძე ავტორია რამდენიმე ორიგინალური პიესისა. მან-აგრეთვე თარგმნა მრავალი პიესა.

გაითვალისწინა რა ვ. ნინიძის დამსახურება ქართული თეატრა-ლური ხელოვნების წინაშე, საბჭოთა მთავრობამ 1934 წელს მას მიანიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობის წოდება, ხოლო 1941 წელს– რესპუბლიკის სახალხო მსახიობის წოდება. ვ. ნინიძეს 1935 წელს ქარ-თველმა საზოგადოებრიობამ გადაუხადა მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე.

ვ. ნინიძე გარდა შემოქმედებითი მუშაობისა ეწევა აგრეთვე დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც; ვ. ნინიძე არჩეული იყო სტა-ლინის რაიონული საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატად და ამავე საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, ხოლო შემდეგ– თბილისის საქალაქო საბჭოს მეორე და მესამე მოწვევის დეპუტატად, სადაც

იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოს შემდეგ მოქმედ კომისიებში.

ვ. ნინიძეს 28 წლის მანძილზე უცვლელად ირჩევენ საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად. ვ. ნინიძე ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა საქართველოს თეატრალური საზოგადოების დაარსებისა, ხოლო დღიდან მისი ჩამოყალიბებისა, მისი სარევიზიო კომისიის უცვლელი თავმჯდომარე ითვლება.

## გიორგი სარჩიმელიძე

ა.წ. 22 იანვარს რუსთაველის სახ. თეატრში გაიმართა ამავე თეატრის მსახიობის გიორგი სარჩიმელიძის სასცენო მოღვაწეობის 45 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

1902 წელს 10 ნოემბერს მამიამ თბილისში გადმოიყვანა დაობლებული 8 წლის პატარა გიორგი. გიორგიმ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში დაიწყო სწავლა. შინ კი საუკეთესო წლების გატარება მას თეატრალურ წრეში უხდებოდა. ამ წრეში ხშირად ყოფნამ და მსახიობთა ცხოვრების გაცნობამ ყმაწვილი სცენას დაუკავშირა.

1912-13 წელს რუსულ თეატრში მამთრის ხესონის ანტრეპრიზას ნარეჩნი აწარებდა. ამ დროს ცნობილი მსახიობი ვოლკოვი გიორგის ბინის გვერდით მოეწყო საცხოვრებლად. მეზობელ ოთახებიდან მას ხშირად ესმოდა მანდოლინაზე კარგად გავარჯიშებული გიორგის მუსიკალური ნომრების შესრულება. ვოლკოვმა ახალგაზრდას ურჩია შეედგინა სიმებიანი ორკესტრი და წასულიყო თეატრში. გიორგის მოეწონა რჩევა, მან მეორე დღეს შეკრიბა გიმნაზიელი ამხანაგები ვალერიან მიზანდარი, ალექსანდრე გველესიანი და მართლაც დაიწყო თეატრში მუშაობა. მაგრამ გიორგის მსახიობობა იტაცებდა. სთხოვა უფროსებს სცენის თანამშრომლად გადაეყვანათ.

პირველ გამოსვლისას ის ასახიერებდა ლეკს პიესიდან

პირველი როლში გამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ გიორგი იღებს მეორე უსიტყვო როლს, რომელიც მან კარგად შეასრულა და გადაწყ.დ. მისთვის უკვე სალაპარაკო როლი მიეცათ. ახალგაზრდა მსახიობმა სარჩიმელიძემ "გიორგიევის" თეატრალური ფსევდონიმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყურებლის ყურადღებაც მიიპყრო.

ამრიგად, რუსულ სცენაზე აიდგა ფეხი გიორგი სარჩიმელიძემ.

1918 წელს ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ შექმნა სათეატრო სტუდია, რომელსაც გიორგი ჯაბადარი ხელმძღვანელობდა.

გიორგი სარჩიმელიძე, რომელმაც 2 წლის წინ დაამთავრა გიმნაზია თეატრალური განათლების მისაღებად გადადის ჯაბადარის ქართულ სტუდიაში.

აქ სტუდიელების სპექტაკლებში სარჩიმელიძემ შეასრულა ყარაიუსუფი "ღალატში", ეშმაკი "სინათლეში", სოკიცა "სარწმუნოებაში" და პელმეს სტრიდი "ვითა ფოთლებში".

1920 წელს "ცარცოს" თეატრის შენობაში, აკაკი ფალავას თაოსნობით ქართველ მსახიობთა დასმა "ცარცოს" თეატრთან პარალელურად სპექტაკლების გამართვა დაიწყო. დასში შევიდნენ ცნობილი ქართველი მსახიობები და ის ახალგაზრდები, რომლებიც ჯერ კიდევ სწავლობდნენ ჯაბადარის სათეატრო სტუდიაში, რომელთა შორის გიორგი სარჩიმელიძეც იყო.

სეზონი გაიხსნა 1920 წლის 16 ოქტომბერს შალვა დადიანის პიესით "გუშინდელნი", რომელშიც სარჩიმელიძე ასრულებდა ბოქაულ ჩალიანის როლს.

ამ სეზონში სარჩიმელიძემ განასახიერა ხილონი / სენკევიჩის "ვიდრე ხვალ უფალო"/, ფიჩხულა / ცაგარლის "რაც გინახავს ველარ ნახავ"-ში/ და სხვა ეპიზოდური როლები.

45 წელი მსახიობის მიერ განვლილი მდიდარი გზა მნიშვნელოვანი წვლილია ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიისათვის. ამ უპრეტენზიო მსახიობმა მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებაში 80-მდე როლი შექმნა.

გიორგი სარჩიმელიძე ეკუთვნის აქტიორთა იმ რიცხვს, რომელმაც იცის, რომ ყოველ როლს გააჩნია ინდივიდუალური ხასიათი, რაც მოითხოვს თავისებურ გარეგნულ გამომსახველობას; ამასთან ერთად ეს მსახიობი არასოდეს არ კარგავს თავის ინდივიდუალობას. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ როლში შეიძლება იცნო მისთვის დამახასიათებელი ხმა.

გრიმის ხელოვნებაში გიორგი სარჩიმელიძე აგრძელებს ქართული თეატრის საამაყო მსახიობების ლადო მესხიშვილის, ვასო აბაშიძის, მაკო საფაროვას, ნიკო გოცირიძის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის, და სხვათა შესანიშნავ ტრადიციებს, რომლებიც თავიანთ ხელოვნებას ამყარებდნენ ცხოვრების ობიექტურ შესწავლაზე და სინამდვილეს ხატავდნენ დამაჯერებელ, ნათელ მხატვრულ საშუალებებით.

გიორგი სარჩიმელიძემ შექმნა რეალისტური გრიმების საინტერესო გალერეა. იგი თავის გრიმს უმორჩილებს მის მიერვე ჩაფიქრებულ სახეს, ამასთანავე ცდილობს შეინარჩუნოს სახის ბუნებრივი გამომსახველობა. მისი გრიმი გამოირჩევა არა მარტო შესრულების კარგი ტექნიკით, არამედ პერსონაჟის სოციალური დახასიათებითაც.

გიორგი სარჩიმელიძის მიერ შექმნილი სრულიად სხვადასხვა როლები, არის იგი კინტო ნიკო შიუკაშვილის "ამერიკელი ძიიდან", კონტრაბანდისტი "კარმენსიტადან", თუ შაჰი ლავრენიევის "რღვევიდან" ჩინელი "ანზორი" და სხვ. არიან ხასიათები, რომლებიც დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

გორკის პიესებში მსახიობი ხატავს სრულყოფილ სცენურ ტიპებს. ასეთია მისი პოლოგი გორკის "მტრებიდან", რომელიც იძლევა ადამიანის ზნეობრივი გახრწნის, ცხოვრების ფსკერზე დაშვების ზუსტ სურათს.

გიორგი სარჩიმელიძის ბოლო ნამუშევარია ბერძენი მოქალაქის სახე "ოიდიპოს მეფეში", მას აქ მხოლოდ ორიოდე სიტყვა აქვს სათქმელი ხალხიან, მაგრამ რა დიდი იმედია ივი სპექტაკლში!

გიორგი სარჩიმელიძე არა მარტო მსახიობია, არამედ პედაგოგიცაა. 30 წელია, რაც თავის ცოდნასა და გამოცდილებას არ ზოგავს ახალგაზრდობისათვის, დღეს სახალხო და დამსახურებული მსახიობები: ნინო ლაფაჩი, თამარ ბაქრაძე, რუსუდან ბერიძე, დავით ხუციშვილი, გიორგი ასიცაშვილი, სარჩიმელიძის პირველი მოწაფეები არიან, რომლებმაც გრიმის საიდუმლოება თავიანთ კოლეგა-მასწავლებლისაგან შეიცნეს.

გიორგი სარჩიმელიძის წიგნი გრიმის ხელოვნებაზე უეჭველად სასარგებლო ნაშრომია თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტობისა და მსახიობთათვის.

გიორგი სარჩიმელიძის ხანგრძლივი შემოქმედებითი გზა საუკეთესო ნიმუშია პროფესიონალიზმისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა.

ცხოვრებაზე დაკვირვებით მოპოვებული მხატვრული გემოვნებისათვის უყვარს გ. სარჩიმელიძე მაყურებელს, მის კოლეგებს, კოლექტივს, რომლებმაც ა.წ. 22 იანვარს შეაჯამეს რა ამ სამაგალითო მსახიობის ნამუშევარი, გულწრფელად მიულოცეს მას 45 წლის მანძილზე მოპოვებული მიღწევები.

ნინა შვანგირაძე

## მედეა ჩახავას ბენეფისი

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი მედეა ჩახავა ეკუთვნის მსახიობთა იმ პლეადას, რომლებიც გაიზარდნენ და შემოქმედებითად მომწიფდნენ ჩვენს დიად საბჭოთა ეპოქაში.

მედეა ჩახავამ ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის დროს მიიქცია საერთო ყურადღება, როგორც კარგი მომავლის მქონე მსახიობმა. პირველი მისი დიდი გამარჯვება სცენაზე ინსტიტუტის კედლებშივე მოხდა, სადაც ახალგაზრდა მსახიობმა დიდი ოსტატობით და შინაგანი ტაქტის დაცვით გამოძერწა ბლუმის სახე. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის ამ სპექტაკლს ესწრებოდნენ საბჭოთა სცენის ისეთი დიდი ოსტატები, როგორებიცაა: კაჩალოვი, კნიპერ-ჩეხოვა, თარხანოვი, კლიმოვი და სხვები, ახალგაზრდა დებიუტანტმა მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა და ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველეს მას მედეა ჩახავამაც ჩინებულად გაამართლა მათი იმედები.

ნიჭიერი მსახიობის მედეა ჩახავას მიერ განსახიერებული ესა თუ ის სახე, გვხიბლავს უბრალოებით, გმირის ყოველი ნიუანსის, შტრიხის საინტერესოდ გააზრებით. იგი ღრმად წვდება თავისი გმირის შინაგან სულიერ თვისებებს და დამაჯერებლად გადმოგვცემს მას.

მედეა ჩახავამ მრავალი მაღალმხატვრული სახეები შექმნა, აქედან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ: ქსენია /ბ. ლავრენიევის " რღვევა"/, ასმათი / ს. კლდიაშვილის " ირმის ხევი"/, მაშენკა / ოსტროვსკის " ზოგჯერ ბრძენიც შეცდება"/, ფეფელა /სუნდუკიანის " პეპო"/, გაიანე / ი. მოსაშვილის "ჩაძირული ქვები"/,

ლელა / გრ. ბერძენიშვილის " ლერნამი ქარში"/, სარე / კ.ბუაჩიძის " ეზოში ავი ძაღლია"/, ამარანტა / ფლეტჩერის "ესპანელი მღვდელი"/ და სხვა.

არც კინოს დარჩა მედეა ჩახავა ვალში, მის მიერ შექმნილი სახეები კინოფილმებში " ბაში-აჩუკი" და " ჭრიჭინა" ფართო საზოგადოების საერთო სიყვარულსა და მოწონებას იმსახურებს.

ხშირად გაისმის მისი ხმა ეთერში, ესტრადაზე მედეა ჩახავა ოსტატურად კითხულობს და დამაჯერებლად გადმოგვცემს ნაწარმოების დედაარსს, გვაღელვებს ამა თუ იმ ლექსის, მოთხრობის, თუ მინიატურის ოსტატურად შესრულებით.

ნიჭიერი შემოქმედი მედეა ჩახავა შემოქმედებითი ძიების გზაზე იმყოფება, იგი არ კმაყოფილდება მიღწეულით და ქართველი მაყურებელიც სამართლიანად მოელის მისგან მრავალ ახალ-ახალ გამარჯვებებს სცენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფ. ბეკიანის შემოქმედებითი საღამო

ა.წ. 22 თებერვალს შაუმიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო სომხურ დრამატულ თეატრში ჩატარდა ამავე თეატრის მთავარი რეჟისორის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ფერდინანდ ბეკიანის სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

ფ. ბეკიანი მიეკუთვნება იმ ხელოვანთა რიცხვს, რომლებმაც უანგარო წვლილი შეიტანეს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების წინსვლისა და აყვავების საქმეში.

ფ. ბეკიანი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო თეატრით. იმისათვის, რომ თავისი ოცნება სინამდვილედ ექცია მან სწავლა დაიწყო ნორნახიჩევანის თეატრალურ სტუდიაში, სადაც სულ მალე მიიქცია ყურადღება, როგორც კარგი მომავლის მქონე ხელოვანმა. ბეკიანმა ამის შემდეგ სწავლა განაგრძო ხარკოვის რუსული თეატრთან არსებულ სარეჟისორო კურსებზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა.

ფერდინანდ ბეკიანმა ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს მიიღო პირველი სცენური ნათლობა, ხოლო შემდეგ მონაწილეობდა ნორნახიჩევნის სომხური დრამატული დასის წარმოდგენებში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი სომეხი მსახიობი ცოლაკ ამერიკიანი.

ფ. ბეკიანმა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად სულ მალე დაიმსახურა ფართო საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული. 1923-24 წლების სეზონში იგი წარმატებით გამოდის ნორ-ნახიჩევნის დრამატულ თეატრში და ღირსეულ პარტნიორობას

უწევს იმჟამად იქ გასტროლებზე ჩამოსული სომხეთის ერთ-ერთ უნიჭიერეს მსახიობს ვ. ფაფაზიანს.

1933 წელს ფ. ბეკიანი სათავეში უდგება ხარკოვში ახლად ჩამოყალიბებული სომხური დრამატული მოძრავ დასს, რომელიც წლების მანძილზე მომსახურებას უწევდა: როსტოვის, ნორ-ნახიჩევნის, კრასნოდარისა და სხვა ქალაქებსა და რაიონების მოსახლეობას.

განსაკუთრებით თვალსაჩინო და ნაყოფიერი ხდება ფ. ბეკიანის შემოქმედება 1936 წლის შემდეგ, როცა იგი მუშაობას იწყებს თბილისის სომხური დრამის თეატრებში, როგორც რეჟისორი და მსახიობი. მან აქ მრავალი ღირსშესანიშნავი დადგმა განახორციელა, როგორც ორიგინალური სომხური, ასევე ქართული, რუსული და დასავლეთ ევროპის დრამატურგიულ ნაწარმოებებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: გ. სუნდუკიანის "პეპო", "კიდევ ერთი მსხვერპლი", "მეუღლენი", ა. შირვანზადეს "პატიოსნებისათვის", "მორგანის მძახალი", ჰ. პარონიანის "ძია ბაღდასარი", შექსპირის "ოტელო", შილერის "ყაჩაღები", ლერმონტოვის "მასკარადი", ი. მოსაშვილის "ჩაძირული ქვები", ს. ავჩიანის "ქორ-ოღლი", "საიათნოვა", ს. ვურგუნის "ვაგიფი" და სხვა, ხოლო მის მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: შმაგა / ა. ოსტროვსკის "უდანაშაულო დამნაშავენი"/, ძია ბაღდასარი/ ჰ. პარონიანის "ძია ბაღდასარი"/, მოსესიანი / გ. სუნდუკიანის "ხათაბალა"/, მანთოევი /ა. შირვანზადეს "მორგანის მძახალი"/, სიმონა / ს. კლდიაშვილის "გმირთა თაობა"/ და სხვ.

ფ. ბუიკიანს თავისი სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე მიესალმნენ: საქართველოს თეატრალური საზოგადოების [illegible] სახელით რესპ. სახ. არტისტი გ. გოძიაშვილი, მარჯანიშვილის სახელობის სახ. თეატრის სახელით რესპ. სახ. არტისტი შ. გომელაური, გრიბოედოვის სახ. რუსული დრამატული თეატრის სახელით რესპ, სახ. არტისტი ეკ. სალინა, საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით, მწერალი სურენ ავჩიანი და სხვ.

დასასრულს საღამოზე ნაჩვენები იქნა შირვანზადეს "მორჩანის მძახალი", სადაც ფ. ბუიკიანმა დიდი ოსტატობით განასახიერა მინთოევის როლი.

## ანრი კოპალეიშვილისა და ალექსანდრე პაპარიძის
## შემოქმედებითი საღამო

მიმდინარე წლის 17 თებერვალს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ რუსთაველის სახ. თეატრთან ერთად მოაწყო ამავე თეატრის სცენის ტექნიკური მუშაკების სცენის მექანიკოსის ანრი კოპალეიშვილისა და დეკორაციონ-მშენებლის ალექსი პაპარიძის თეატრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რუსთაველის სახ. თეატრის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ამხ. პ.კანდელაკმა. რის შემდეგაც ა. კოპალეიშვილისა და ალ. პაპარიძის თეატრში მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა ამავე თეატრის სადადგმო ნაწილის გამგემ საქ. თეატრალური საზოგადოების სათეატრო სადადგმო სექციის ბიუროს წევრმა ამხ. ნ. კრავეიშვილმა.

- ანრი კოპალეიშვილი,- განაცხადა მომხსენებელმა,- რუსთაველის სახ. თეატრში მოვიდა 1931 წელს. დიდან მოსვლისა დიდი ენერგიითა და სიყვარულით ჩაება თეატრის ყოველდღიურ ცხოვრებაში და დღემდე ბრწყინვალედ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა რა პ. კოპალეიშვილის ნაყოფიერ მუშაობაზე, აღნიშნა, რომ იმ დროს თეატრში ტექნიკური საა-მქროები ან სულ არ არსებობდა და თუ იყო ისიც მოუწყობელი. დღეს კი მისი უშუალო მონაწილეობით თეატრი აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ახალი განათების აპარატუ-

რითა და დანადგარებით. სპექტაკლის წარმატების ერთ-ერთი კომპონენტი განათებაც არის, რაზედაც დამოკიდებულია სურათების სწრაფი ცვლა და სხვ. რაშიაც დიდად ხელს უწყობდა ამხ. კოპალეიშვილის ენერგიული და დაუღალავი შრომა.

ნ. კრავეიშვილმა განაცხადა – ალექსი პატარიძეც ჩვენ თეატრში,– მოვიდა 1931 წლიდან. ამ დროიდან იგი მუშაობდა, როგორც დურგალი ბრიგადირი, ხოლო 1947 წლიდან დღემდე ამავე საამქროს გამგეთ. ე საქმე მან ისე შესანიშნავად შეისწავლა, რომ მას ამჟამად მთელ ჩვენ რესპუბლიკაში თითქმის არ ჰყავს ტოლი ამ დარგში.

– ალექსი პატარიძემ მის თეატრში მუშაობის დროს მთელი კადრი გამოზარდა ხელოსნებისა, როგორიც არიან მ. ქიქილაშვილი, არსენ ცხადიაშვილი და მრავალი სხვ. ამხ. ალ. პატარიძის უკანასკნელი ნამუშევარია – "ფილოსოფიის დოქტორი" და "ეზოში ავი ძაღლია".

იუბილარებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების სადადგმო სექციის სახელით გულთბილად მიესალმა ამავე სექციის თავმჯდომარე, მხატვარი ალ. თევზაძე. იუბილარებს მიართვეს ფასიანი საჩუქრები და სხვ.

დასასრულ წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი "ფილოსოფიის დოქტორი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს თეატრალური საზოგადოების 1956 წლის წლიური ანგარიშის ფინანსიური მაჩვენებლები

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმს სხვადასხვა ხარჯების გასაწევად 1956 წელში დამტკიცებული ჰქონდა 503,800

1/ საუკეთესო პიესაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულთა პრემიებისათვის . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 130,000

2/ საუკეთესო სასცენო მუსიკალურ ნაწარმოებზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულთა პრემიებისათვის........... 30.000

სულ დამტკიცებული იყო . . . . . 663.800 მანეთი

წარსული 1955 წელთან შედარებით 178000 მან. მეტი.

რომ წარმოდგენა ვიქონიოთ თუ რაში დაიხარჯა ზემოხსენებული 663.800 მანეთი დავასახელებთ ნაწილს ღონისძიებისას:

საზოგადოების პრეზიდიუმის აპარატის შენახვა და სამეცნიერო შემოქმედებითი განყოფილების მიერ ჩატარებულ საქმიანობაზე. . . . . . . . . . . . . . . . . . . 283.745

2/ საქართველოს თეატრალური საზოგადოების /საინფორმაციო მასალები/ მოამბე 1956 წელში გამოვიდა ოთხჯერ მისი ხარჯები . . . . . . . . . . . . . . . . . 17462 მან.

3/ თბილისის თეატრების თეატრალური საზოგადოების დათვალიერების ხარჯები . . . . . . . . . . . . 23.000 მან.

4/ საუკეთესო პიესაში გამოცხადებული კონკურსის ჩატარებაზე 47461 მან.

გაცემულია პრემიები . . . . . . . . . . 68000 მან.

სულ კონკურსის ხარჯები .. 115.461 მანეთი

5/ საუკეთესო საესტრადო მუსიკალურ ნაწარმოებზე

ხარჯები უდრის . . . . . . . . . . . . 13105 მან.

გაცემული პრემიები . . . . . . . . 30.000 მან.

სულ კონკურსის ხარჯები 43.105 მანეთი

6/ წიგნი " საქ. თეატრალური საზოგადოება 1945-1955 წლის " /გამოცემაზე გაწეული ხარჯები უდრის . . . . 29.298 მან.

7/ პიონერ-ბანაკების შესანახად . . . 10.000 მან.

8/ 1956 წელში საზოგადოების მიერ შეძენილ იქნა მანგლისში აგარაკი. აღნიშნული აგარაკის გადაკეთებისათვის დაიხარჯა 10251 მან. ზემოხსენებულმა აგარაკმა დაიწყო მუშაობა 1956 წელს, სადაც ისვენებდნენ საქართველოს თეატრალური მოღვაწეები.

9/ 1956 წლის განმავლობაში საზოგადოების მიერ გაწეულია მივლინების ხარჯები ჯამით. . . . . . . . . . . 92.133 მან.

სულ დახარჯულია 626985

აღნიშნული სამივლინებო ხარჯებით მოსკოვში გაგზავნილ იქნა შემოქმედებით მივლინებაში 25 კაცი.

აღნიშნულის გარდა ქ. მოსკოვში მოზარდმაყურებელთა თეატრების 15 დღიან სემინარში გაგზავნილი იყო, როგორც ქართული, ისე რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრების ექვსი თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად ფაქტიური საერთო ხარჯების დაფარვა უდრის 39415 მან. საქართველოს თეატრალური საზოგადოების მთლიანი ქონება / შესაძლებლობანი/ 1955 წელთან შედარებით გაზრდილია... 1008000 მანეთი ზევით მოხსენებული გაწეული ხარჯის გარდა გარდა საზოგადოებასთან 1956 წელს შექმნილი იყო საზოგადოების წევრთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების და დახმარების ფონდი.

| | |
|---|---|
| ნაშთი დაუხარჯავი 1956 წ. 1/I იყო | 2589 მან. |
| შექმნილია 1956 წელში ..... | 70000 მან. |
| | სულ 72589 მან. |
| 1956 წელში დახარჯულია ....... | 72548 მან. |
| ნაშთი 1957 წ. 1/I დარჩა .. | 41 მან. |

აღნიშნული დახმარებები გაცემულია თეატრალური საზოგადოების 107 წევრზე მათ შორის შეძენილია 6 საგზური.

## საწევრო ანარიცხები

საწევრო ანარიცხების აკრეფის საქმე ჯერ კიდევ ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე, დაარსებიდან დღემდე საწევრო ანარიცხები სულ აკრეფილია ...... ...... 21430 მან. ეს თანხა 50% არ არის იმის, რაც უნდა აიკრიფოს, ამიტომ საჭიროა თვითონ საზოგადოების წევრები ჩაუფიქრდნენ ამ საკითხს და უფრო გააქტიურდნენ საწევრო ანარიცხების შეტანის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1956 წლის განმავლობაში გამომცემლობა "ხელოვნებას" უნდა გამოეცა შემდეგი რაოდენობის წიგნები./ წინაწლების ნარჩენებით/

| გეგმით | წიგნების რაოდენობა | საავტორო ფორმათა რაოდენობა |
|---|---|---|
| 1954 წლის ნარჩენი | 5 | 59 |
| 1955 წლის " | 23 | 117,5 |
| 1956 წლის " | 32 | 235,0 |
| სულ | 60 | 411,5 |

1956 წელში ფაქტიურად გამოცემულია

| | წიგნების რაოდენობა | საავტორო ფორმათა რაოდენობა |
|---|---|---|
| 1954 წლის ნარჩენი | 4 | 33,4 |
| 1955 " " | 14 | 90,5 |
| 1956 " " გეგმით | 11 | 59,5 |
| | 29 | 183,4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



1956 წელში გამოშვებულ წიგნების /რაოდენობის და საავტორო ფორმების/ შეფარდება გადმოწავალი წიგნების და 1956 წლის გეგმასთან.

| | წიგნების რაოდენობა | საავტორო ფორმათა რაოდენობა |
|---|---|---|
| გამოცემული იყო წიგნების ჩათვლით | 60 | 411,6 |
| გამოცემულია ფაქტიურად | 29 | 183,5 |
| შესრულების % | 48 | 44,7 |

ფაქტიურად გამოცემული წიგნების შეფარდება /კერძოდ/ 1956 წლის გეგმასთან

| | წიგნების რაოდენობა | საავტორო ფორმათა რაოდენობა |
|---|---|---|
| 1956 წლის გეგმით | 32 | 235,0 |
| ფაქტიურად გამოცემულია | 29 | 183,5 |
| შესრულების % | 90,6 | 78 |

აი სურათი 1956 წელში საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმისა და მისი განყოფილებებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნ ე კ რ ო ლ ო გ ი

## კირილე პაჭკორია

ქართულ ხალხურ მომღერალთა რიგებს გამოაკლდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ფუძემდებელი კირილე პაჭკორია.

კირილე პაჭკორია დაიბადა 1886 წელს წალენჯიხის რაიონ სოფელ ლიაში, ღარიბი გლეხის ოჯახში, საშუალო განათლება მიიღო ფოთში. სკოლაშივე ის იჩენდა სიმღერისადმი დიდ მიდრეკილებას, ამაში მას ხელს უწყობდა ხმის მშვენიერი ტემბრი და მუსიკალობა.

1904 წელს პაჭკორიას მშობლები წალენჯიხიდან მუდმივ საცხოვრებლად გუდაუთაში გადასახლდნენ, სადაც მაშინ მოღვაწეობდა სახელმოხვეჭილი ლოტბარი ძუკუ ლოლუა. კირილე პაჭკორია დაუახლოვდა ძუკუ ლოლუას და მის გუნდში დაიწყო სიმღერა. – აი ამ გუნდში მიეცა მას საშუალება თავისი ნიჭის გამოჩენისა, ამისათვის მას ყველაფერი ხელს უწყობდა, ხმა, მონდომება და სიყვარული ქართული ხალხური სიმღერისადმი: ძუკუ ლოლუას გუნდში პაჭკორია გახდა ნამდვილი ხალხური მომღერალი და შემდეგ კი 1924 წლიდან, ძუკუ ლოლუას გარდაცვალების შემდეგ ამ გუნდის ლოტბარი. ამ გუნდში მას საშუალება მიეცა ფართოდ გაეცნობოდა დასავლეთ საქართველოს ძველი ქართული სიმღერისა და ცეკვებს.

1908 წელს გუდაუთაში გაიხსნა საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება, რომელსაც დაევალა ქართულ სკოლებთან ჩამოეყალიბებინა მომღერალთა გუნდი. ასეთი გუნდის ჩამოყალიბება დაევალა კირილე პაჭკორიას, რომელმაც დიდი მონდომებით და სიყვარულით მოკიდა ხელი ამ საქმეს და ჩამოაყალიბა ქართული მომღერალთა გუნდი, რომელმაც დაიწყო კონცერტების და საღამოების გამართვა ქალაქში და ახლო-

მაღლა სოფლებში. ამავე დროს კირილე პაჭკორია, კინო გეგეჭკორი და ჩემა შელეგიასთან ერთად მღეროდა ძუკუ ლოლუას გუნდში, სანამ ის 1920 წელს შემდეგ საცხოვრებლად თბილისში არ გადმოვიდა. თბილისში პაჭკორია დაუახლოვდა ცნობილ ლოტბარებს — ძმებს ალექსანდრე და მიხეილ კავსაძეებს. კავსაძეებმა მას გააცნეს აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერების მიმხიბლაობა.

კირილე პაჭკორიამ ძუკუ ლოლუას გუნდში დააგროვა დიდი რეპერტუარი ქართული სიმღერისა და ცეკვისა, მან ქართული საგუნდო ხელოვნება უმაღლეს საფეხურზე აიყვანა, აამეტყველა ბევრი ძველი ქართული სიმღერები, პოპულარული გახადა მივიწყებული ბევრი ქართული სიმღერები და ცეკვები, ამასში მას ხელს უწყობდა, თეორიული მომზადება და ცოდნა ძველი ქართული ხალხური სიმღერებისა და მისი ნარმცავ მელოდიების, აი სწორედ ამაშია კირილე პაჭკორიას, როგორც ხალხური მომღერლის გამარჯვება და დამსახურება. კირილე პაჭკორიას მიერაა დამუშავებული მრავალი ძველი ქართული და საკოლმეურნეო სიმღერები, მათ შორის "მხედრული" და "ოდელია", რომელსაც დღესაც მღერის მის მიერ ჩამოყალიბებული გუნდი.

პაჭკორიას კარგად ჰქონდა შეგნებული მთელი შემოქმედება გენიალური კომპოზიტორების, ჩაიკოვსკის, ფალიაშვილის, გლინკას, არაყიშვილის, რომლების შემოქმედებაც ხალხური მასალებზეა აგებული და ყოველივე ამას კარგად იყენებდა თავის შემოქმედებაში.

კირილე პაჭკორიას გუნდმა მთელი რუსეთი შემოიარა, ისინი ასრულებდნენ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის გმირულ სიმღერებს და აცოცხლებდნენ მრავალ ლეგენდარულ ამბავს ლენინგრადის და მოსკოვის

კარიბჭესთან მომხდარი გმირული ეპოპეების.

კირილე პაჭკორიას ხელმძღვანელობით არსებული სიმღერისა და ცეკვის გუნდი დიდი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო საქართველოში, არამედ მოძმე რესპუბლიკებშიაც.

კ. პაჭკორიას ასეთი პოპულარობას უსათუოდ განსაზღვრავდა ხალხის მასებიდან ამოღებული სიმღერისა და ცეკვის რეპერტუარი და მისი მაღალ: ხელოვნებამდე აყვანილი უნაკლო შესრულება, 1930 წელს ლენინგრადში გამართულ ქართული სიმღერისა და ცეკვის კონცერტს ლენინგრადის კონსერვატორიის პროფესორები და დოცენტები, ნიკოლაევი, შერბინოვი, კუშნარიოვი, გიპიუსი და სხვები აღფრთოვანებული შეხვდნენ და წერდნენ: " განსაკუთრებული ოსტატობა გურულების, ეპიკური ძლიერება იმერლების, ლირიკული მოქმედება მეგრელების, ვაჟკაცური ხმიანობა კახელების ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება. ამიტომ ისინი დიდ მადლობას უძღვნიან გუნდის ხელმძღვანელებს, პაჭკორიას, ჯილაურს და ერქომაიშვილს.

1937 წელს ქართული ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში კირილე პაჭკორიას გუნდმა მრავალი საინტერესო მელოდიებისა და სიმღერების შესრულებით აღფრთოვანებაში მოიყვანა ხალხი, რისთვისაც დაჯილდოებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. სამამულო ომის დღეებში პაჭკორიას გუნდი დადიოდა ფრონტზე და მეომრებს უმართავდა კონცერტებს და საღამოებს. მისი გუნდის ომახიანი და გმირული ხმა მეომრებს მოუწოდებდნენ სამშობლო ქვეყნის დასაცავად.

კირილე პაჭკორია არა მარტო გუნდის ლოტბარი იყო, არამედ აგრეთვე ის იყო შესანიშნავი მსახიობიც, ვის არ უნახავს ის კოხტა ჩოხაში გამოწყობილი გუნდის წინ მდგარი, ერთი ხელი მას მოქნე-

ლი საცვევრის ცარზე უკიდია და მეორე ხელი კი ლირიკულის კოხის მოჟაღლობას ასრულებს, ეს ყველაფერი ის; ლამაზად და ბუნებრივად ხდებოდა ყოველგვარი გრიმის გარეშე, რომ მაყურებელი არ გრძნობდა ლოვბარის არავითარი ხელოვნური ჟესტს და მოძრაობას.

ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ოსტატებმა: ლოლუამ, პაჭკორიამ, შენგელაიამ, მეგრელიძემ, კავსაძეებმა, თარხნიშვილებმა და სხვებმა უკვდავჰყვეს ქართული- ხალხური სიმღერები და ცეკვები; რომლებიც შეიძლება დროთა განმავლობაში დაკარგულიყო, ამიტომ კირილე პაჭკორიას ხსოვნა ისე უკვდავი იქნება, როგორც უკვდავია ის ხალხი, რომლის სიმღერისა და ცეკვის ნიჭიერი შემსრულებელი ის იყო.

## რაისა რაისელი-ფაჩულია

მსახიობი რაისა მათეს ასული რაისელი-ფაჩულია /კვირკველია/ დაიბადა 1900 წ. ქ. ფოთში, მუშის ოჯახში. პატარა რაისა მიაბარეს ფოთის არასრულ ქალთა სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1917 წელს.

პატარა რაისას ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს აღმოაჩნდა კარგი ხმა და აგალობებდნენ საეკლესიო გუნდში. შემდეგ მღეროდა ჯერ დოც-ბარ ხავთასთან და შემდეგ აქსენტი მეგრელიძესთან მომღერალთა გუნდებში.

მათე კვირკველიას ოჯახი სტუმართმოყვარე იყო. რაისას დედა ცნობილი იყო ფოთში თავის სილამაზით და ხმით. რაისა ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს თავის ამხანაგებთან ერთად თავის სახლში მართავდა ბავშვებისათვის წარმოდგენებს. რაისას მამა სასტიკი წინააღმდეგი იყო რაისას ხელოვნებისადმი მიდრეკილებისა, ხოლო დედა უთანაგრძნობდა მის სურვილს და ყოველნაირად ეხმარებოდა თავის პატარა გოგონას.

1921 წელს იუზა ზარდალიშვილი, ჩაუდგა სათავეში ფოთში თეატრის სეზონს. ქუთაისიდან ჩასულ მსახიობთ რაისას მშობლები იწვევენ სახლში. ი. ზარდალიშვილი შეამჩნევს რაისას სასცენო ნიჭს და ურჩევს ითანამშრომლოს მათთან დასში, რაზედაც იგი დათანხმდა.

ამის შემდეგ იგი განუწყვეტლივ მუშაობს სხვადასხვა თეატრებში.

როდესაც რაისა რაისელი-ფაჩულია თბილისში ჩამოვიდა, ახლობლებმა ურჩიეს ხმის დამუშავება. ახლობლების რჩევის თანახმად

რაისამ დაიწყო მეცადინეობა ერთ-ერთი მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც მასწავლებლად იყო ლობჟანიძაია, რაისას შეეძლო მოწყობილიყო ოპერის თეატრში, მაგრამ ვინაიდან უკვე მიჩვეული იყო დრამატულ თეატრში მუშაობას კვლავ ამავე გზით განაგრძო მუშაობა.

რაისა რაისელი-ფაჩულია მუშაობდა შემდეგ თეატრებში: ფოთის თეატრში 1921 წლიდან 1926 წლამდე, თბილისის სატირის თეატრში 1927 წ-1930 წლამდე, წითელ არმიის ქართულ თეატრში 1931-1932 წლამდე, თბილისის ესტრადის თეატრში "მუქურა" 1933-1934წ.წ. ჯანსახკომის სანიტარულ მოძრავ თეატრში 1935 წლიდან 1940 წლამდე, თბილისის კინოსტუდიაში 1942-1945 წლამდე, რუსთაველის სახელობის თეატრში / გუნდის მსახიობად/ 1946 წლიდან 1948 წლამდე. შემდეგ განაგრძობდა კინოსტუდიაში მუშაობას.

რაისა რაისელი- ფაჩულია იყო სათნო გულის ადამიანი, მეგობრების და ახლობლების საყვარელი პიროვნება, 1957 წლის 7 თებერვალს გარდაიცვალა 57 წლის ასაკში. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

## პ.ი. უგრეხელიძე

ქართულ თეატრალურ მუშაკთა რიგებს უდროოდ გამოაკლდა ნიჭიერი მსახიობი პაველ ივანეს-ძე უგრეხელიძე.

პ. უგრეხელიძე დაიბადა 1919 წელს სოფ. გოდოგანში. 1935 წელს დაამთავრა ქუთაისის საშუალო სკოლა. გატაცებული იყო რა თეატრალური ხელოვნებით, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა, როგორც სცენისმოყვარე ქუთაისის პროფსაბჭოსთან არსებულ დრამატულ წრის მუშაობაში.

1937 წლიდან პ. უგრეხელიძე იწყებს მუშაობას თბილისის მოზარდმაყურებელთა ქართულ თეატრში. მისი პირველივე გამოსვლა სცენაზე წარმატებით აღინიშნა და 1938 წელს მოწვეული იქნა ქუთაისის თეატრში სამუშაოდ.

ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრის სცენაზე პ. უგრეხელიძემ არა ერთი საინტერესო სახე შექმნა, რომელთაგანაც პირველ რიგში აღსანიშნავია პატარა კახი / ა. წერეთლის " პატარა კახი"/, ალიშა /ნაიდენოვის " ვანიუშინის ოჯახი"/, კუკური გ. ბაბისკერიას " უფსკრულში"/, პაატა / ს. შანშიაშვილის "გიორგი სააკაძე"/, და სხვა.

პ. უგრეხელიძემ, როგორც მსახიობი გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით.

პ. უგრეხელიძის სახით ქუთაისის თეატრს გამოაკლდა ნიჭიერი შრომისმოყვარე მსახიობი და საუკეთესო მეგობარი, იმყოფებოდა რა შემოქმედებითი ძიების გზაზე, მას ლ ბევრი სარგებლობის მოტანა შეეძლო მშობლიური ქართული თეატრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვასო აბულიშვილი

უფროსი თაობის მსახიობთა პლეადას გამოაკლდა ერთ-ერთი თვალსაჩინო მსახიობი ვასილ / ვასო/ გიორგის-ძე აბულიშვილი.

ვ. აბულიშვილი დაიბადა 1886 წლის 18 ნოემბერს სოფელ მარტაანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. აქვე მიიღო მან დაწყებითი განათლება და შემდეგ სწავლა განაგრძო სიღნაღის საქალაქო სასწავლებელში. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს მის ოცნებად იქცა თეატრი. პირველი როლი, რომელიც მან განასახიერა ქვემო-მაჩხაანის სცენისმოყვარეთა წრის სპექტაკლში იყო იორამი ალ. ყაზბეგის პიესაში "არსენა". 1907 წელს ვ. აბულიშვილი მუშაობას იწყებს ავჭალის აუდიტორიასთან არსებულ დრამატულ დასში. აქ სულ მალე მიიქცია მან საზოგადოების ყურადღება, როგორც კარგი მომავლის მქონე შემოქმედმა, ხოლო 1908 წელს ცნობილმა ქართველმა თეატრალურმა მოღვაწემ ვალერიან შალიკაშვილმა მიიწვია მსახიობად თბილისის პროფესიულ თეატრში.

ვ. აბულიშვილი ერთნაირი სიძლიერით ანსახიერებდა, როგორც სახასიათო ასევე გმირული ხასიათის როლებს. თავისი მოღვაწეობის პერიოდში მან 100-ზე მეტი სხვადასხვა სახე შექმნა. მათ შორის მაყურებელთა საერთო მოწონებას იმსახურებდა ოთარბეგი, დათო /"ღალატი" ალ. სუმბათაშვილი - იუჟინისა/, გაბრო, დათიკო, პეპია / "ბატონი და ყმა" ი. ჭავჭავაძის, გადმოკეთებული შ. დადიანის მიერ/, ანზორი / "ანზორი" ალ. შანშიაშვილისა/, გოდუნი /"რღვევა" ბ. ლავრენიოვის/ და სხვა.

ვ. აბულიშვილი ეწეოდა სამწერლო მოღვაწეობასაც, სწერდა ლექსებს, პოემებს, რომლებიც იბეჭდებოდა სხვადასხვა პერიოდულ გამო-

ცემებში. მანვე თარგმნა პიესები "სევილი" ჯაფარ-ჯაფარლისა", "მაყნე" მამუჩევევისა და სხვა.

ვ. აღულიშვილი წლების მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას: ქუთაისის, გორის, ბათუმის, სოხუმის, თელავის, სიღნაღის დ.      ბაქოს ქართულ თეატრებში.

1942-1943 წლების სეზონიდან ვი/მან ავადმყოფობის გამო თავი დაანება თეატრს.

1. დათო მესხიშვილი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2
3. დათო მესხიშვილი თეატრის შესახებ . . . . . . . . . 16
4. დიდი იტალიელი დრამატურგი და თეატრის რეფორმატორი
კარლო გოლდონი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 24
5. სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების
დეკადა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 30
6. საქართველოს თეატრალური საზოგადოების საქმიანობა
1957 წლის პირველ კვარტალში . . . . . . . . . . . . 35
7. მზადება საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის
დეკადისათვის . . . . . . . . . . . . . . . . . . . 40
8. თბილისის თეატრალური ახალგაზრდობის დათვალიერება.. 48
9. გორის თეატრის სპექტაკლებზე . . . . . . . . . . . . 56
10. ვიქტორ ნინიძის შემოქმედებითი საღამო . . . . . . 59
11. გიორგი სარჩიმელიძე . . . . . . . . . . . . . . . . 64
12. მედეა ჩახავას ბენეფისი . . . . . . . . . . . . . . 68
13. ფ. ბუკიანის შემოქმედებითი საღამო. . . . . . . . 70
14. ანდრო კობალეიშვილისა და ალექსანდრე პაპარიძის
შემოქმედებითი საღამო . . . . . . . . . . . . . . 73
15. საქართველოს თეატრალური საზოგადოების 1956 წლის
წლიური ანგარიშის ფინანსური მაჩვენებლები . . . . . 75

## ნეკროლოგები

16. კირილე პაჭკორია . . . . . . . . . . . . . . . . . . 80
17. რაისა რაისელი-ფაჩულია . . . . . . . . . . . . . . . 84
18. ვ.ი. უგრეხელიძე . . . . . . . . . . . . . . . . . . 86
19. ვასო ალულიშვილი . . . . . . . . . . . . . . . . . . 87

უფასო

ი 9/157

F 567
ეროვნული ბიბლიოთეკა
1957